კაკა ედზისელი

კოლხური ფსალმუნები

100-ტომეული

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ვაჟა ეტრუსელი



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად

2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ვაჟა ეტრიელი



კოლხური ფსალმუნები

ტომი 87

2020

მთ. რედაქტორი **ნარგიზ გოგია**
მეცნიერ-ფილოლოგი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა **„უნივერსალი“, 2020**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)
ISBN 978-9941-26-894-6 (87 ტომი)

* * *

ვაჟა ეგრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტევანი“, ალექსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მონოგრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფეოდორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იქმენ ნათელი!” ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა” გამოსცა ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ქმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მეხუთე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტამბული.

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონოგრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ეგრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწყეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟაფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დესპანის მედლისა და „დიოსკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და შაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პოეტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „ვარძიის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარგლის, ზუგდიდის, ხობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური ფსალმუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური ფსალმუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პოეტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური ფსალმუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამზადებულია დასაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ათტომეული, აბრეთვე, პოეტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დესპანი, „კოლხური ფსალმუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხრე შვილია (შვიდი ძმა და ორი და).

პოეტის ასტომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ეგრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსთველს აკაკის და გალაკტიონს, ღმერთი არ მიწყენს რომ შეგადარო. გავხარ ზღვის ღელვას და ნაზ სიოსაც, რომ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „ფსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მეტგვერდიანი „გაჯადღლო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვყავი და... დღეს ქვეყნის გასაგონად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ეგრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც გალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰგავს...

ის პრეისტორიული კოლხეთის „ძუტაია“, არესის ჭალაში მდგარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაზგმა იაზონმა მედეასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმწიფის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადაწვდილ ტოტებზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური ფსალმუნების“ იგავმიუწვდომელი ასტომეული დაკიდა და გააცოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდათოთხმეტზე მეტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნძლული ისტორია, რაც ჰომეროსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკეთებია.

100-ტომეული... ქვეყნის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რიჟრაჟამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოსური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯეროობით არავის შეუქმნია დედამიწაზე...

კოსმოსში კი...

დაგოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველეშაპი მისწოლია... მათ იციან იქ იწყება დედამიწის ისტორია“.

გულნაზ ხარაიშვილი
პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურიატი,
ჯუმბერ ლეჭავას სახელობის მეცნიერებათა
საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი

„ბულცივად შეხვდი ყოველ ქებას, ყოველ ძაგებას.“

ა. პუშკინი

ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲑᲘᲔᲠ

(გაგრძელება)

და ეს ყოველივე შენი კალმითაა დაწერილი. ღრუბლები აჯანყდებიან, იქუხებენ, იგრგვინებენ, შენ რომ პოეზიის ბროლის კოშკსი არ გიხილონ შენი ოქროს კალმითა და ხალასი ნიჭით. თუმცა იქიდან ბევრჯერ გამოსულხარ გულნატკენი. დღეს კი შენი ფიქრების გაშლილი იალქნები ლაღად დაასრიალებენ ოცნების გემებს ზღვაში. ახლა გამარჯვებულმა, შენი პოეზიის რაში მთელს სამყაროში სიხარულით უნდა აგელვო – იყო თქმული ვარსკვლავეთიდან. ამის გაგონებაზე პოეტმა დაიწყო:

„შეხედეთ ჯვარზე გაკრულ იესოს,
აი, ესაა კაცის ცხოვრება,
ისე,
შორიდან რიალებენ სულ სხვა ფერები,
რომლებიც ვეღარ შეაკავა ღამის ჯებირმა,

ვიცი,
სიკვდილი უსაშველოდ მომეფერება,
რადგან სიცოცხლემ
ერთხელაც არ გამანებივრა“.

– მოესწრები ყველაფერს!.. შეეცადე სხვა გრძნობით, სხვა თვალით აღიქვა ეს ცხოვრება, სიკვდილზე არასდროს იფიქრო, ვხედავ იმ შენს შუბლზე, ბედ-იღბალითა თუ ერის ავბედობით ატოკებულ ორ ძარღვს იგრილებ... კარგია, კარგი... ნახავ ზეცა განათდება და მომავლის იმედი გამოჩნდება ჭუჭრუტანიდან თუმცა პატარა, მაგრამ სინათლე მაინც მოჩანს...

„დუმილის კედლებს
ბზარი გაუჩნდა,
ნექტრის თუ შხამის
წვეთავს ფერები,
იმედის ბნელში
სიხარულის
ღვივის მარცვალი“.

მოისმა ზეციდან.

ისევ დუმილი და ლოდინი? – ჩაეკითხა პოეტი და თვითონვე განაგრძო: – ამ ლოდინში

წყდება სასიცოცხლო ძარღვები, ბეწვის ხიდზე დადებულ სიცოცხლეს ქარი არწევს.

– მერე ეს ხომ სახიფათოა სიცოცხლისთვის? – ჩაეკითხა ზეციდან იდუმალი ხმა.

– რა ვქნა, დუმილი მტანჯავს – იმას ველოდი, როცა ზღვა ნაპირთან მუხლებზე დაეცემა და ატირდება, ან ვინმეს ამით გული მოულპება, ქვეყნის მდგომარეობით გულაღტკინებულს?! მე პირადად:

„მიხმობს,
მეძახის ჩემი კოლხეთი...
– ზღვას სიჩუმეში სძინავს მკვდარივით,
ქარი კი წამით არ ასვენებს,
ანჯღრევს, აღვიძებს“.

მშფოთვარე ზღვას თუ სძინავს მკვდარივით – ნამდვილად დასანანია, თუმცა შენ ზღვის სახეში ვიღაცას გულისხმობ არა? – ჩაეკითხა კვლავ ხმა იდუმალი.

– ჰო, მაგრამ მთავარია...

„ჩვენი სიცოცხლის გაგრძელბად
მზე ამოვიდა.“

ვიცით, ვიცით, შენ პოეტთა შორის განსაკუთრებული ხარ, რომელიც „თუთარჩელობს და მურიცხობს“, – იყო ხმა ვარკსვლავებისა.

სწორედ ამიტომ, „გარდასულ დღეთა ტკივილი მტანჯავს.“

„ჩემი სამშობლოს
აწმყოც,
წარსულიც,
ჩემთან აქ
არი...“

შენ, ვაჟა ეგრისელო, შენი ოცნებით, ფაცხაში კერიასთან, როგორც ბავშვობაში ზიხარ არა?... გადმოსძახეს ქედებს.

– რასაკვირველია, უახლოეს დროში ველოდები მერცხლების მოფრენას, მჯერა გაზაფხულის მოსვლას მახარებენ და ფაცხის აივანზე ბუდეს გააკეთებენ. ესაა ჩემი ჩაუქრობელი იმედი, რწმენა, რითაც გავყურებ სივრცეს და თვალწინ მიდგას ჩემი სამშობლო – დიდი წარსულით.

– შენ რას ფიქრობ ახალგაზრდობაზე, ერზე, მამულზე, როგორ აღიქვამ ყოველივეს? – ხმა მოაწვდინეს ნაკადულებმა, წარსული ომე-

ბისგან ქერქგამძვრალმა, დანახშირებულმა ფესვებმაგარმა მუხებმა.

მართალია, პოეტი, ზოგჯერ ნაღვლიანია, მაგრამ ახალგაზრდების მომავლისა სჯერა. ისინი მოდიან ლომის ფაფრით, ვეფხვრი ნახტომით და მგლის მუხლებით. მას სჯერა, რომ ქვეყანას არც ოქრო, არც ვერცხლი და არც დიდძალი ფული უშველის. მთავარია, სიწმინდე, ეკლესიურობა, მეგობრობა, სიყვარული, ერთიანობა და ერი გადარჩება.

– შენ გედგა ჟამი ყოფნა-არყოფნის,

ამის მოწმეა კრწანისი და ველი მარტყოფის,

შამქორს,

მარაბდას!

დიდგორს!

ბასიანს!

ეს, საქართველოვ!

სხვამ რა იცის

თუ რა ფასი გაქვს“.

იყო ნათქვამი პლანეტიდან.

სწორედ, რომ მაშინ:

„ცხოვრება იყო გაძლება,

სიცოცხლე იყო ზღაპარი,
ტაძრებს ანთებდნენ
კელაპტრად –
ბნელ ცისქვეშ მამა-პაპანი,
აშენეს ციხე-კოშკები,
ათი კი არა, ასიცა,
მაგრამ იქ – სვეტიცხოველთან –
ზე აიწია ქართლის ცამ“.
გაახსენა პოეტმა.

– ახლა, ახლა რას აკეთებენ? – ჩაეკითხა ხმა იდუმალი, პოეტმა ირონიული ღიმილით შორს, სივრცეში გაიხედა და თქვა:

„ჩემი ოცნება –
ცას შესცქერის ფრთააწურული
და გასაფრენად
სივრცეებს ეძებს“ –

– ფიქრობ მონახავ განთიადს? – ჩაეკითხა ხმა იდუმალი.

ეჰ, ძნელია, ძნელი ამაზე ოცნება, – თქვა პოეტმა და ფიქრი მრავალჭირნახულ კავკასიონ-ზე გადაიტანა.

კავკასიონი – (მყინვარი) ვერცხლის შუბი და ოქროს ფარი დედამიწისა მშვენიერი და მდი-

დარი, მრავალჯიშიანი მცენარეულობითა და ცხოველებით, ცადაზიდული მთებით, წყალუხვი მდინარეებით, მქუხარე ჩანჩქრებით და ლურჯად მოლივლივე ტბებით... თუნდაც ქედზე მიჯაჭვული ამირანით.

პოეტმა ოცნებაში განაგრძო საუბარი – ჩემო ქართველო ერო, განა არ ვიცი ჩვენს წინაპრებს მსოფლიოს უძველეს ხალხთა გვერდით უცხოურია, შრომით და ბრძოლით გაუტანია ლელო. ჩვენი წინაპრებიდან ცნობილია, კოლხები, ტაოხები, დიაოხები, ჰენიოხები, თუბალები, სვანები, ხალიბები, ტაბარენები, სანიგები, მოსინაკები და მრავალი სხვა ქართველური ტომები, რომელთაგან გამოირჩეოდა ქართველთა ორი მოდგმა – კოლხები და სასპერები, ანუ იბერიელები. პოეტს ამის გახსენებაზე მთელ სხეულში სისხლძარღვი შემოდგომის ფოთლებივით დაეკორძა.

წუხს ფაზისი... ღელავს პონტო
და გულში დარდს ვეღარ იტევს:
სად წავიდნენ, ვერ გაიგეს,
არც ფრიქსე ჩანს, არც აფსირტე.
ხმობენ სანებს და სანიგებს,

კორაქს-კოლებს და კასიტებს“.

– ნუ ნერვიულობ, გააგრძელე მდუმარე აზროვნება წარსულზე, – ჩაესმა ხმა იდუმალი.

პოეტი ისევე ოცნებაში გადავიდა, თან აზროვნებით ვარსკვლავეთს ახედა და რას ხედავს... „მსოფლიოში ღვთაებრივი პიროვნება“. ბერძენი მინოსი და კოლხი აიეტი – 3300 წლის წინანდელი მსოფლიო ისტორიასა და მითოლოგიაში ცნობილი პირები ბჭობდნენ. ნეტავ რაზე? კითხვა დაებადა პოეტს.

– ეჰ, ჩემო კარგო, საფიქრელისა და საზრუნავის მეტი რა იყო წარსულში, ასეა ახლაც, თუ მეტი არა – გადმოულაპარაკეს ზეციდან.

ოქროს ქვეყანა – უცებ გაულვა პოეტს გონებაში. ხედავ შენ, უთხრა თავის თავს, მთის დაქანებულ მდინარეებს როგორ ჩამოაქვს ოქროს ქვიშა, რომელსაც ცხვრის ტყავებით საწმისებით მოიპოვებდნენ ძველად კოლხები, საიდანაც წარმოიშვა თქმულება ოქროს საწმისის შესახებ.

ბერძენმა იასონმა მედეას დახმარებით შეძლო ოქროს საწმისის მოტაცებაც.

„ლეგენდის ტოტზე ჰკიდია მზე –

ოქროს საწმისი,
არ ჩანს იაზონ... მე მედეას ღალატს
აქ ვეძებ.
რადგან ზღვისკარად
ისევ მიდგას იმედის ქოხი,
წარსულს ვაძოვებ ჩემს ღამეებს –
ოქროსფერ ვერძებს,
მე შორეული ლეგენიდან
მოსული კოლხი."

„ო, ღმერთო, ეს იყო მაშინ, ახლა რა ხდება ჩვენს ქვეყანაში?.. სად მიდის ჩვენი ოქრო?..

პოეტს ვარსკვლავეთიდან ირონიული სიცილი მოესმა –

„წავიდა, გაქრა, სიზმრებრივ ჩქარა."

– რა გაქრა, სიზმრებრივ ჩქარა?

– ყველაფერთან ერთად განძი, განძი ერისა – მოისმა მრისხანედ ვარსკვლავეთიდან.

ამის გაგონებაზე ზღვამ ცოფები ჰყარა და იქვე შენიშნა ერთი შავი ვეება კატა, რომელიც ტოტიდან ტოტზე მუცლით მიხოხავს და გულმოდგინედ მალავს ზურგჩანთას, ეტყობა სადღაც შორს მიაქვს. მან თითქოს გააპო ბნელი წამიერად, აჩვენა თავი და მერე ისევ აეფარა ღამის

წყვდიადს, მაგრამ აბობოქრებულმა ტალღამ მიაძახა: ერის მოღალატევ! სიკვდილს ვერ დაუძვრებიო! და ზედ გადაუარა, თავის ორბიტაში მოაქცია და ჩაათრია ზღვის ფსკერისკენ.

ამის შემყურე პოეტი შეწუხდა: დამნაშავე ქართველს საცემად გავიმეტებ, მაგრამ სასიკვდილოდ ვერაო.

– დიდებულია, მაგრამ ყველა ქართველი თუ ფიქრობს ასე? – შეეკითხნენ შორეული პლანეტიდან. ან თუ ახსოვთ იბერია, ქართლი და ეგრისი, ანუ კოლხეთი. შავი ზღვის სანაპიროზე ბერძნული ქალაქები: ტრაპეზუნტი, კერასუნტი, ფასისი-ფოთი, დიოსკურია – სოხუმი, პატიუნტი – ბიჭვინთა.

– ახსოვთ და იციან კიდევაც, უპასუხა პოეტმა.

– თუ იცით მაშინ რას უპობთ ისრით გულს ერთმანეთს? – განა არ გახსოვთ შენი კოლეგები რა საშუალებას არ ხმარობდნენ შენ დასაქცევად? – გაიხსენე შურიანი მგლების ხროვა, რომმ შეგესია... დაიქცა საქართველო, – იყიდება ყველაფერი, მათ უნდათ დაისაკუთრონ უქართველებოდ“ ამის გაგონებაზე:

„ზღვა შფოთავდა და ამორბოდა მაღლა ნაპირზე
და კბილს კბილებზე აცემინებდა,
თვალებიდან კი ცრემლი სცვიოდა“...

– ეჰ, სად არიან სახელოვანი მეფეები საქართველოსი, – დაიგრგვინა ცამ – ახალგაზრდა ფარნავაზი, რომელმაც (27 წლისამ ძვ. წ. აღ. IV-III სს.) საქართველო პირველად გააერთიანა. მისი სატახტო ქალაქი მტკვრისა და არაგვის შესაყარში მდებარე მცხეთა იყო მაშინ, მაგრამ დღეს რა ხდება საქართველოში – ჩაესმა კვლავ პოეტს.

– არ ვიცი... არ ვიცი, მაგრამ ვხედავ ყვლაფერი უკიდურეს ზღვრამდეა მისული. ტერიტორია დაკარგული, ეკონომიკურად დასუსტებული ერი სულს ღაფავს – თქვა სინანულით პოეტმა გლის სიღრმეში და ფიქრი განაგრძო. იგი იდაყვზე დაყრდნობილი გაჰყურებს საქართველოს წარსულს და:

იხსენებს მეფე მარდატ პირველს, რომელმაც გააერთიანა, „ყოველი ქართლი და ეგრისი“, მერე ბრწყინავდა მეფე მირიანი, რომელმაც პირ-

ველი ქრისტიანული ტაძარი – სვეტიცხოველი ააგო მცხეთაში.

„ისევ ლოცვად დგას სვეტიცხოველი,
რომ შენი ზეცა აღარ დაღამდეს.“

მართლაც რომ ერისთვის სასწაულებრივი იყო იმ დროს ეს ტაძარი. – თქვა პოეტმა და ბაკურ იბერიელი მოაგონდა, რომელიც IV საუკუნეში ბიზანტიაში მოღვაწეობდას. ეჰ, ჩვენი ფაზისი – „მუზათა ტაძარი“.

– ჰო, იყო სახელოვანი, მაგრამ დღევანდელი, მთელს საქართველოში, კალიასავით მოდებული სასწავლებლებივით კი არა, – იყო ხმა ზეციდან.

– სწორია, სწორი, – თქვა და ფიქრებში აღიქვა დიდი ვახტანგ მეფე, რომელმაც

„იალბუზზე ფეხი შედგა, –
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“.

ხალხს ახსოვს ეგრისის მამაცი და ჭკვიანი მეფე გუბაზი, რომელმაც შემდეგი სიტყვებით მიმართა თავის ჯარს:

„ჩემო ვაჟკაცებო, მაშ, ერთხელ კიდევ დავამტკიცოთ ჩვენი განთქმული გმირობა. მაშ, არ შევარცხვინოთ ჩვენი სახელოვანი წინაპრები.

დაე, ნურასდროს აღიგვება პირისაგან მიწისა სახელი ლაზებისა, ჩვენ არასოდეს გაგვჭირვებია სპარსელებთან ბრძოლა. აკი მრავალჯერ დაგვიმარცხებია ისინი ხელჩართულ შეტაკებაში. ჩვენ მივეჩვიეთ მათზე გამარჯვებას, ხოლო მიჩვეულთათვის არ არსებობს არავითარი სიძნელე აკი საქმის სირთულეს ყოველთვის სძლევს მეცადინეობა და გამოცდილება. დაე, გძულდეთ მტრები, მოსისხლენი თქვენი ოჯახისა და თქვენი სამშობლოისა? გახსოვდეთ, ერთხელ დაცემული სიამაყე აღარასოდეს აღორძინდება. მაშ, გავემართოთ სრული სიმხნევით, სრული რწმენით, მტერთა ჩვენთა დასამარცხებლად!“

– აი, ასეთი მეფე სჭირდება დღეს საქართველოს – იყო ხმა ზეციდან.

– კი, მაგრამ სად არის? თქვა და განაგრძო ოცნებაში საუბარი, გუბაზის მკვლელობამ ეგრისელთა დიდი მღელვარება გამოიწვია ხალხის გევრდით იყვნენ აიეტი და ფარტაზი.

აიეტი და ფარტაზი... – განძი კოლხეთისა – ჩაილაპარაკა ოცნებაში პოეტმა.

„წარსულში უცებ წინაპარმა
ხმალი იშიშვლა,

ასე მგონია როცა იელვებს,
ზღვაში თვალს ახელს
სასწაული და ფანტაზია.
ქუხილი არა!
აიეტი და ფარტაზია,
ისევ ებრძვიან პონტოს პირას
ბიზანტიელებს.“

დღევანდელ საქართველოსი ვინ დგას ხალხთან? ჩაეკითხა იდუმალი ხმა.

– ერის შვილი გვინდა, მაგრამ სად არის?.. პოეტს ამის თქმაზე ძარღვებში სისხლი აუჩქროლდა, მაგრამ რა ამით?!.

„... სამშობლოსათვის თავდადებულთა
ხსოვნის დღეები
იმედს კვერავენ...“

ოო, ვის არ ახსოვს 735 წელს მურვან ყრუს შემოსევა უზარმაზარი ლაშქრით, საქართველოს აწიოკება და სისხლის გუბეები – იქუხეს ზღვის ტალღებმა.

„მე ვხედავ
ქართლის ცხოვრების ფურცლებზე –
სისხლის და ცრემლის დგას გუბეები?..“

საქართველოს ისტორიაში კიდევ ერთი საამაყო ფურცელი ჩაიწერა, მაშინ, როცა ფერსათის მთაზე მდინარე ხანის წყალთან, ძმები დავით და კონსტანტინე მხეიძეები გმირულად, რომ შეებნენ დამპყრობლებს. ოხ, როგორ აწამეს ურჯულოებმა... მოიგონა ღრმა ოცნებაში წასულმა პოეტმა.

იქვე ახლოს მდებარე ლამაზმა ტბამ, რომელიც თავისთვის წყნარად სუნთქავდა, ვერ მოითმინა და პოეტს გამოეხმაურა, – წარსულს რომ ჩაჰკირკიტებთ დღევანდელობაში გადმოდით და ნახეთ რა ხდება!..

– თავად რას ხედავ შენ, მშვენიერო?..

– თითქმის ყოველდღე, ქართველი ისევ ქართველის ტყვიით კვდება, შუღლი, მტრობა... ჩაილაპარაკა მონანავე ტბამ და განაგრძო:

„ცას კვლავ აწუხებს მნათობთა წყლული –

საქართველოს კი საკუთარი შვილთა ღალატი“.

მოგვიწევს ბრძოლა... შინ და გარეთ, აუცილებლად, მაგრამ ვინ იცის როდის და რანაირად, ან ვისახელებთ კი თავს?!.

ეჰ, ცხოვრების რანაირი მძიმე პირობები არ ჰქონია ქართველ ერს, მაგრამ უმძიმეს პირობებშიც კი სულიერი ცხოვრებისთვის მუდამ ზრუნავდნენ. იმ დროს მოღვაწეობდნენ საუკუნის მშვენება პეტრე იბერი და იოანე ლაზი. სწორედ ამ პერიოდში, კერძოდ, მეხუთე საუკუნეში დაიწერა შესანიშნავი თხზულება „შუშანიკის წამება“, „ქებაი დ დიდებაი ქართულისა ენისაი“ – განაგრძო მოგონება, აშენდა შესანიშნავი ტაძრები და სავანეები: სიონი, ოპიზა, ხანძთა, შატბერდი, ოშკი, ხახული, პარხალი, ბანა, ტბეთი, აწყური, საფარა, ზარზმა, კაცხი, მარტვილი, წალენჯიხა, ხობი, ბედია. დიდებულ კულტურულ ცენტრად აღიმართნენ ქართული სავანეები საზღვარგარეთობა – პალესტინაში, სინას მთაზე, შავ მთაზე, ათონის მთაზე – ფიქრებში ჩაუფლო პოეტი.

– იყო დრო, როცა ეს ტაძრები უყურადღებოდ იყო მიტოვებული – მოისმა ხმა იდუმალი.

– ჰო, იყო, მაგრამ ახლა ხალხმა გამოიღვიძა. იწამა ღმერთი და მას მიენდო.

„მიწას მოშორებულმა,

ცის მღვიმეში ვიცხოვრე

და ღმერთივით გავთეთრდი“ –

აი, ეს აზრია დღეს ყოველი ქართველის გულის სიღრმეში სათუოდ ჩადებული – თქვა პოეტმა დ განაგრძო:

საქართველოს გაერთიანების გამახორციელებელი დავით მესამე კურაპალატი, შემდეგ ბაგრატ მეფე, რომელმაც აფხაზეთი, ანუ დასავლეთ საქართველო შემოიერთა. სატახტო ქალაქად ქუთაისი გაიხადა, მაგრამ დღეს დაფარული აფხაზეთი?.. ჩაეკითხა იდუმალი ხმა პოეტს.

– ვერ ვიტყვი დაკარგულიო, მაგრამ ბრძოლა გრძელდება, სამართალმა უნდა იზეიმოს. „ტალღებს აღვიძებს აფრის ტკაცუნი,“ ღმერთმა ქნას გაღვიძებულ ტალღას იმედის, რწმენის ძალა მიეცეს ხალხისთვის

„რა დროს ღალატია,

რა დროს კამათია.“

ტატა დიოსკურელი

ნაწყვეტი წიგნიდან – „აღქმა ანუ საოცრებათა სამყაროში“

გაგრძელება შემდეგ ტომში



კოლხური ფსალმუნები

100 – ტომელული

„ტომები ჩემი ვთვალე და ვთვალე“...

გალაკტიონი

ვთვალე...

და ვეღარ დავთვალე...

ცუდად ვარ...

ალბათ გამთვალეს!

ირგვლივ მეუფობს წკვარამი

და აღარ მშველის სათვალე!

არც გამოლოცვა მისანთა

და არც „ლილე“

და არც „ლალე!“

2019

კილიმანჯაროს მთები

მარად გაუპარსავი,
თოვლის წვერმოშვებული,
დგანან მთები ამაყად,
ყოფნაში რომ დამაჯერონ!
მზის და მთვარის გულებით,
ჰგვანან ჰემინგუეის
მთები –
კილიმანჯოროს.

1968

ომარ ხაიამი

წუთისოფლის გზას მიჰყვება,
დრო და ჟამთან
ნაომარი
ლექსი ოქროს ხამლიანი
და სამყაროს ეფინება
ხმა – ომარი
ხაიამის.

1962

კაცობრიობა

წამებისათვის მოუსლმა,
ტანჯულმა,
როგორც იობმა,
რომელიც თავის ბედს წყევლის.
ჯვარს ეცვა,
მეტი რადა ქნას,
საწყალმა კაცობრიობამ –
წინ წყალი!
უკან მეწყერი!!!

2019

მზე და მთვარე

მზის ღმერთს –
მადლს ვწირავ
ჰელიოსს,
ისე, ვითარცა ძე მისი.
და ვარსკვლავებით ნაჭედ ცას,
ომშიგან ისევ ვიფარებ,
მარჯვენა მხარზე მზე მიზის
და მარცხენაზე მთვარე.

1979

ბენათი

სამყაროს ცის სამრეკლოში,
დავითმა დარეკა
სხვა ზარი,
პირველი კი არა,
მეათე!
და აღაშენა ტაძარი –
გელათი კი არა,
„ბენათი“.*

1968

* ბენათი (მეგრ.) – განათდი...

ასწლეულები

ვითომც და ხელებაწეულებმა,
თოვლით მოსილმა
ასწლეულებმა,
შორით მოსულმა წალიკ-წალიკად,
ჩემი სამშობლოს
ცის სილამაზე,
ბევრჯერ დანისლა,
ბევრჯერ წალეკა...

1971

ისევ კოლხური ფსალმუნები

(ვარიანტი)

პრომეთესგან მოტანილი,
კოლხური ცეცხლის
ალმურებით,
ნეტარებითა და
სასოებით,
ვარსკვლავთა –
ოქროს ასოებით –
ნაწერია „კოლხური ფსალმუნები“.

1994

მიხო ხელაშვილი,
სისონა დარჩია

სამშობლოს მზის შესახვედრად,
გულდიად და
ხელგაშლილმა,
მონურ სიცოცხლეს სიკვდილი,
დაუფიქრებლად
არჩია.
მთად – მიხო ხელაშვილმა... და
ბარად – სისონა დარჩიამ.

1957

ვედრება

წაიღოს ჩემი სული,
ვისაც ის ებარება,
მზითა და სიყვარულით
მოსილი.
ოღონდაც შემხვდეს ისეთი
მაქებარი.
როგორიც აქილევსს –
ჰომეროსი.

2019

მაცილი და ბელზებელი

შენი ყოფნის ნახევრი
ღამე იყო ბნელზებნელი...
და მზე თვალებს –
გარიდებდა,
მაგრამ წამით არგტოვებდა
მაცილი[1] და
ბელზებელი[2].

1991

[1,2] – ავისულები.

გეა, პოსეიდონი, ზევსი, მერკური

მიწის – ხუროთმოძღვრება:
მთები,
ზღვები,
მინდვრები,
მოგვცა გეამ[1] და მასთან
დიდმა პოსეიდონმა[2].
ცის: მზით,
მთვარით,
მთიებით
შეჰქმნა არქიტექტურა
ზევსთან[3] ერთად
მერკურმა[4].

1962

---

[1] გეა (კიბელა) (ბერძ.) – მიწისა და მიწისქვეშეთის, ქვესკნელის ქალღმერთი, მისგან წარმოიშვა ყველაერი, მათ შორის ღმერთები და ადამიანები.
[2] პოსეიდონი (ბერძ.) – ზღვის ღმერთი.
[3] ზევსი (ბერძ.) – უზენაესი ღმერთი, ღმერთებისა და ადამიანების მამა და მეუფე.
[4] მერკური (ბერძ.) – რმერთების შიკრიკი, პლანეტა.

ვერდიქტი*

ცად არს გადაწყვეტილი:
არც ნერუ,
არც ნობელი?
არც ნაკლები,
არც მეტი.
შენ ხარ მეცხრე...[1]
მფლობელი,
ქვეყნად ცხრავე პლანეტის.

1993

---

* ვერდიქტი (ინგლ. ფრანგ.) – განაჩენი.
[1] მეცხრე – ვაჟა ეგრისელი მეცხრე შვილია, შვიდი ძმა და ორი და.

მამული

სამშობლოსათვის თავგანწირულებს,
ვითარცა გმირებს
ძეგლებს უგებდნენ
და მისტიროდნენ კუბოს კარამდე...
ღვთის კურთხეული,
რადგან მამული,
ქართველისათვის იყო მარადის.
„სათავის წყარო მარადჟამული“.
(დანტე)

1989

ოსანა

ცას ვარსკვლავები ესხა ლოცვებად...,
თითქოს და მთვარე
ხმობდა – ოსანა!*
შენ რწმენა ტანზე სამოსად გეცვა.
მხეცთა მგმირავი...
და ღვთისმოსავი,
„ტაძრად ხვიდოდე,
ვითარცა ზეცად“.
(წმინდა ნილოს სინელი.)

1967

* ოსანა (ბერძ. ძვ. ებრ.) – გვიხსენ!

ჰეროდე

შიშს მოუცავს იუდეა,
ბეთლემი და
ქანაანი,
და დგას ჟამი საშინელი.
თავლაში წევს ყრმა იესო...
და ბავშვებს კი ჰერედოთი
აძინებენ!!!

1962

წმინდანების – კვირიკესა და ივლიტას ეკლესია

გოლგოთამდე,
ამ გზით და ბილიკით,
ჩვენი წინაპრებიც ივლიდა,
თუმც შიში სუფევდა წარმართთა
და ალბათ ამიტომ,
წმინდა კვირიკეს და
ივლიტას
ტაძარში ხმა ისმის
„ქალდეველ“ მამათა.

1963

სიშორე

ჩვენ ერთად გვინდა...
                  და დაშორების
შიშს ვერ იქნა და ვეღარ
                  ვიშორებთ!
რადგანაც დაგვდევს დამე –
                  ქვიშორი.
ჩვენ კი არადა თვითონ სიშორეს
          ეშინია –
                  თავის სიშორის.

2019

სიმღერა

რადგანაც სული შთაბერე
ძველ კოლხეთს:
„ეას“,
„აიას“,
რომლებიც ზე-ცას ერთვის...
მეც ვამბობ, ვით ესაია:
– სიმღერა არის ჩემი ხსნა,
ჩემი ძალა და
ღმერთი.

1970

იაშვილის ფოტო პროფილით

ჯერ ქარი არქრის ოცდაჩვიდმეტის
და იაშვილის ფოტო –
პროფილით,
შოორს მომზირალი სულ სხვა
სისხარტით.
თავის კალამის ოქროს წვერით
ჩანს კმაყოფილი,
„კალმის წვერით –
ბულბულის ნისკარტით“.

1964

რაინდები გრაალის

ოქროს საწმისს დაეძებ,
ისე,
როგორც გალაადი.
ვერ პოულობ და მიტომ
გაცეცხლდი და
გაალდი.
და მედება სხვა ალი:
ერთიც აღარ შემორჩა
რაინდთაგან გრაალის.

1969

აპოლონ და დიონისე

აკადემიკოს აპოლონ გადელიას

მზის და მთვარის ფიალებით,
ამ სამყაროს ეშხი შევსვით.
ვეძალებით ღვინოს ისევ...
ჩვენ ძმები ვართ...
და ორივე ძე ვართ ზევსის
ისე, ვითა აპოლონ და
დიონისე.

2019

ჟინ ანთარი*

ჰელიოსის ნაშიერს,
ისე,
ვითა ცისიერს,
გფარველობდა ანთარი.
მიტომ მადლი გებოძა,
ცხრა მზისა და
ცხრა მთვარის.

1950

* ჟინ ანთარი – ცის ღვთაება კოლხურ პანთეონში.

ვით პაოლოსა და ტიციანს

შენ, როგორც ჰელიოსის ძეს,
გადებენ ათას ცოდვებს,
ვით ტიციანს და
პაულოს.
შენ, როგორც სამართლის მცოდნე,
სამართალს –
ვეღარ პოულობ!!!

1967

ხილვა – ქრისტეს მხედარი კოლხეთიდან

ვით ქრისტეს მხედარს, „ფსალმუნთა
ასტომეულთა“ ფიცრებით,
შენს „სასახლესაც“ შეკრავენ
და შიგაც ჩაგასვენებენ...
შენი ხმლებით და ფარებით.
მერე...
აღმართით წმინდა მთის
მიწასაც მიგაბარებენ.

1999

კოლხეთის სამი მითიური მეფე (ან მარე[1], აიეტი[2], ფიხუნია[3])

ისტორიის დან აბკესთვის.
ვახმე, როგორ გაიმეტეს!!!
(ხსოვნის კარიც მიხურვიათ.)
ან მარეს და
აიეტის,
დიდ ხელმწიფე
ფიხუნიას.

1966

---

[1] ან მარე – ცის კაცი, კოლხეთ-ქიმეთის, ეგვიპტის მითიური მეფე (52 სს. 5185-5120 წწ.).
[2] ფიხუნია – კოლხეთის აიეტის წინარე მეფე – 34-33 სს.
[3] აიეტი – 34-33 სს.

განმრიგე

ჯოჯოხეთის თუ სამოთხის
წესის დამდები,
განმრიგე –
ზეცის და მიწის მაყართან
ზის და...
დღე-დამეს არიგებს,
ზესკნელთა გზაგასაყართან.

1974

ზოგ-ზოგებს

შეხედეთ! –
პოეტობას,
ვით ჩემობენ მავანნი!
ფუყე პურის თავთავებს
მაღლა ცქერა
ჩვევიათ.
მათ ხომ პოეზიის, –
ცისქვეშ ერთი დამეც კი
აღარ გაუთევიათ,
არუწყიან ღვთიური ლექსის
ავან-ჩავანი.

1973

სამყარო ჩამოსაპყარდა

ჩვენ ქაოსიდან მოვსულვართ,
ვითა გვაუწყებს
ბიბლია
და ისევ იგი დამყარდა:
დააგვიჩიავდა –
სოფელი,
სამყარო –
ჩამოსაპყარდა!

1959

ცეცხლი

„ავსტრალიის ტყეებს ცეცხლი უკიდია,
დამწვარია რვა მილიონ კვ.კმ. მეტი ფართობი
და მილიონნახევარზე მეტი ცხოველი.
გაზეთებიდან.

შოორს...

ავსტრალიის იწვის
ტყეები გაბედითებით.
და მე თბილისში სიმწვრისაგან
მეწვის თითები...

2020

ხილვა-გარდუვალობა

ლოცვებად ისევ დგანან ქედები,
არ გაჭრა უფლის
უარმა.
შენ ცის სარკეში კვლავ
იხედები.
ხედავ იმას რაც ჯერ არ მომხდარა,
მაგრამ...
მოხდება გარდაუვალად!

2020

გაზაფხული, ზამთარი

ელვის ცეცხლით და
წვიმის ისრებით,
გაზაფხულები მდინარეებს
კვლავ ახელებენ.
ქარიც თან ახლავთ
ამპარტავანი.
ხოლო ზამთარი დაკრუნჩხული
ცივი ხელებით,
დგას და სამყაროს
აპატარავებს.

1966

ჰორიზონტები

მინაწერები, 1976 წლის გამომცემლობა „მერანის“
მიერ გამოცემულ პოეტის წიგნზე –
„ჰორიზონტები“.

მშობელია და...
ცისთვის მიტომ არემეტები?
უთვალავია სფეროები და
პლანეტები.
მიწა – დედაა... და არ გიშვებს!
ო, არა უშავს!
შენ კი შენახარ!!
სიყვარულის იცი შენახვა!
მოხვიე ხელი ჰორიზონტებს
და... არ გაუშვა!

1979

რისთვის

სინდისთან ერთად,
ვით ყიდიან მთელ სამყაროს
ოცდაათ ვერცხლად.
შენ კი არაფრის არ ძალგიძს შეცვლა!
გევსება მზერა სიბრალულის
თოვლით და ნისლით,
და...
მაინც ცოცხლობ...
ნეტავი რისთვის?!

1969

ზღვა და ხმელეთი

ზღვის და ხმელეთის
პირველ სიყვარულს,
ვითარცა ჩვენსას
გასვლია ყავლი.
(რადგან ზღვა ჩუმად თავს
კლდეებს ახლის.)
გადახურული ქარიშხლის ყავრით,
ზღვა არის ჩემი
მშფოთვარე სახლი.

1962

მზის და მთვარის პინები

გაიღება ცისკრის კარი,
როცა ღმერთი ინებებს.
მანამ ვიდაც უხილავი,
ჩვენს სიცოცხლეს –
ჩუმად წონის,
დღისით – მზის და
ღამით – მთვარის,
ოქრო-ვერცხლის პინებით.

2019

ნემსები

წვანან ვარდისფერ ბალიშებზე
და წვრილი თვალები,
შიშით და სიშორით
ევსებათ.
და ჰგვანან მზაკვრებს და
კუდიანებს,
ძაფის შავ-კუდიანი
ნემსები.

1958

რწმენა

ღამის მიღმა კი ჩანდა...
არ ჩანდა...
ცა მოფენილი მზით და
ოქროთი,
მაგრამ შუა გზაზე უცებ აცივდა –
ვინც აიყვანა თხემზე –
გოლგოთის,
მანვე გადმოხსნა ქრისტე
ჯვარცმიდან.

1970

შობის ბალახი

დედამიწაზე მოდგმას ადამის,
სიცოცხლის კარი,
რომ არ დარჩეს ცისებრ
ღიობად,
ბევრი ზღვები აქვს
გადასალახი!
უნდა შიშობდეს კაცობრიობა,
რომ აღარ გახმეს
„შობის ბალახი“.

1972

უსასრულობა,
ვითა სასრული

რადგანაც ყოფნა გეცოტავება,
ამ წუთისოფელს
ზომავ არშინით.
და უფლის ნებას ამით ასრულება,
მაგრამ, ვით პოეტს,
ერთი გაშინებს:
– უსასრულობა, ვითა სასრული.

2019

კოლხური მისტერია

რადგან ვიშვით ქაოსიდან
და წყვდიადი –
მზის მტვერია –
სამყაროს რომ გარსუვლიდა,
გამოიხმე წარსულიდან,
ქვეყნის შექმნის ბიბლიური,
შენ –
კოლხური მისტერია.*

1963

* მისტერია (ბერძ.) – საიდუმლოებანი.

საგლოვი არის სიკვდილი

რა არის კაცის სიცოცხლე,
ერთი ლამაზი წამისთვის,
ამდენი წვა და
წვალება!!!
საგლოვი არის სიკვდილი!
და არა!
გარდაცვალება!

2019

საუკუნენი არაბ-მონგოლთა

ავადმზირალი, როგორც გოლგოთა,
საუკუნენი
არაბ-მონგოლთა,
როგორ წასულან წალიკ-წალიკად,
რომლებმაც ქართლი
და საქართველო,
ვახმე!
ვით წარღვნამ,
ერთობ წალეკა...

1989

პურის ყანა

დგას ივლისი...
კვა-კვა-ვებენ ვასაკები...
წვიმა რაა,
არჩანს ცვარი!
ცას პირს ვეღარ უხსნის დანა.
მაინც წყლის პირ,
ვით ხვთის მადლი.
ყელყელაობს პურის ყანა.

1966

ფშავ-ხევსურეთში

მხრებზე თეთრ-ნაბდიანები,
თოვლის ყაბალახ წაკრული,
ყაჩაღებივით –
იდგნენ ქედები!
იყივლა დილამ....
და ხმა გაკმიდა!
და აი, ახლა მზე იხედება –
ცის უზარმაზარ
ლამაზ სარკმლიდან.

1963

როგორც ან მარე

გადავაბიჯებ მე ჩემს სამყაროს
და დავიწყების „ქვევრში“[1]
მძინარეთ –
ჩემს დიდ წინაპრებს
წამით შევუვლი..
და... მერე ხუთიათასწლეულის,
მე მოვალ შენთან
როგორც ან მარე.

1959

[1] ჩვენი წარმართი წინაპრები ქვევრში მარხავდნენ მიცვალებულებს.

უფლის სახე

არავინ იცის,
თუ ვის ელის,
ცისარტყელის ფერადი
ყულფი.
სიხარულია – გაკრთომა ელვის,
გაბადრული ცა –
სახეა უფლის.

2007

ბაბილონის ტაძარი

ბაბილონის ტაძარი კი,
ადამის ძემ ღმერთს
აუგო,
და შემდეგი ახლავს მიზანს,
მაგრამ ვერვინ ვერ
გაუგო,
ქურუმთ ნაქებ –
ამ საწუთროს,
გასაჩხიბს და
გასამისნავს.

2019

ფშავში

ბილიკ-ბილიკ,
ვითა ქისტი,
ეპარება სოფელს ბინდი,
არაგვს მოაქვს ხმა
მუცალის.
და ეს მთები, ვით ხოგაის
ბრძენკაც მინდის,
არის შენთვის საფიხვნო და
სალოცავი.

1963

ფსალმუნები

ზღვით მოსული ხარ პოეტი,
პირველ წარღვნის გადარჩენილ
აიების[1].
და არც ტანკა[2],
არც სონეტი,
ხოკუ,
არც რუბაიები[3],
სხვაა შენი ფსალმუნები.

1993

---

[1] აია – ოცდაერთიათასი წლის წინ პირველ წარღვნას გადარჩენილი, კოლხთა შორეული წინაპრები, მერე სახელმწიფო, ქვეყანა.
[2] ტანკა, ხოკუ (იაპ.) იაპონური პოეზიის ერთერთი ძველი ჟანრი.
[3] რუბაიები (არაბ. სპარს) – ოთხსტრიქონიანი ლექსი.

ზევსი

მეხთამტყორცნელი –
ეს გახლავთ ზევსი*,
ცას, მზეს და მთვარეს
რომ უმსხვრევს მინას.
ზესკნელი არის –
უფსკერო ხარო,
სადაც დამაშვრალ სიშორეს ძინავს
და სიყვარულის
ყვავილი ხარობს.

1964

* ზევსი (ბერძ.) – უზენაესი ღმერთი, ღმერთი ცისა, ქუხილისა, ელვისა და წვიმისა.

უკვე შინა ხართ...

ჩემს ძმებს და დებს: ჯოდოს,
ვალერიანს, ზინას, მარგოს, ოთარის,
ავთანდილს, გვანჯის, უტას.

თქვენ სამარეში წევხართ
ინახად,
რა გენაღვლებათ, უკვე შინა ხართ!
მე,
გარე-გარე დავეხეტები,
დასავიწყებლად,
რა ვქნა,
ქვეყნად
არ მემეტებით.

2019

ია-იები –
სიცოცხლის საწყისი

მირიად წელზე უფრორე,
იყო ქარი და
ქაოსი...
(არავინ იყო!!! ამიტომ,
მტერი არავის არჰყავდა!)
უცებ იელვა...
და მიწას,
ვითარცა უძვლის ცრემლები –
ია-იები დააჩნდა,
მერე...
სოცოცხლედ აყვავდა.

1965

დოუ ნანა

დოუ,
    დოუ,
        დოუ ნანა!
ნეტავ საით წახვედი!
        მოიარე ლეგენდები
        და გელის ჩაბალხეთი:
უსუპით და
            ამირანით
        ცამცუმ-ბადრით
            და ხეთით.

1961

ალვები

ფეხისწვერებზე დგანან ალვები
და მთელი ღამე სულგანაბული –
ანგელოზების
ჩურჩულს უსმენენ...
და... მთვარე ძირს რომ არ
ჩამოვარდეს,
მიჭედილია ცას ვარსკვლავთა
ოქროს ლურსმანებით.

1954

მცირე ანდერძი

ყოფნა – უფლის მადლი და
წყალობაა,
რისთვისაც ამდენი იომე...
არყოფნა – ეშმაკის კერძია.
შენი ფსალმუნები –
„მცირე ანდერძია“
დიდი ფრანსუა ვიონის.

1994

* * *

შენი ხელებით არის ნაგები –
მზის სასახლე და
მთვარის კარავი.
და აკვანს ურწევ ათასწლეულებს
ვითა სამუმი და
ვით არავი*.
და ქრისტესავით მიუსაფარი,
შენ ხარ ყველა და...
შენა ხარ არავინ...

1958

---

* არავი – სამხრეთის ქარი.

ბაბილონის გოდოლი,
ბაბილონის შერევნა

გაკრთომაზე ცამ ელვის,
მთვარე კვლავ აიფარა,
როგორც ლედვის
ფოთოლი!
შიშველს,
შერცხვა!
მერე რა?!
ბიბლიიდან გამოჩნდა –
ბაბილონის გოდოლი,
ბაბილონის შერევნა.

1969

ვით ფირდოუსმა

ო, კიდევ ერთი ხოტბა შევასხა,
დღეს კი არადა,
ჩემს „მზიან ღამეს“.
ვითა შაჰ-ნამეს,
ფირდოუსმა!
მერე აქედან...
ჩუმად მოუსვა!!!

2019

ოქროს მონეტა

„მეფეებთან“ –
მუდამჟამს,
იყავი ხელმომჭერი,
ხელგაშლილი – „მონებთან“.
და...
იმიტომ მოჭერი,
შენი ოქროს მონეტა.

2019

ხილვა: მოყმის დედა

„წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ ვუთხრა ჭირისა“...
ვეფხვი და მოყმე.

მწუხრის მონავლულ ნათელზე
ვჭვრეტ:
საცალფეხო ბილიკზე,
ნისლმა ქალი, ვით მიმალა...
ის მოყმის დედას ვამსგავსე,
მისამძიმრებად –
მიმავალს...

1960

ფიფქი

ცის სიშორეს მოწყვეტილი,
ვით ფიქრუკარება
ფიფქი,
შენ ცხოვრობდი...
აწც იცოცხლებ,
ხილული თუ უხილავი,
დროჟამის და
სივრცის იქით...

2019

ვით გილგამეში

როგორც მენავე და
მებადური,
ქარსა და ქაოსში,
სად უნდა გამეშვი,
შენი ოქრონაქსოვი ბადით!
რადგან შენ ისე,
ვით გილგამეში,*
„დღენიადაგ მართავდი ნადიმს“.

1970

* გილგამეში (შემ.) ურუქის მეფე.

მზე, მთვარე, ჟამი

პირველობას ჩემულობს და,
სურს რომ გაიტანოს
ლელო!
რადგან ჟამი ვერაგია!
ცა იცავს და
ცა მფარველობს –
თეთრ ჩოხიან მთავრესა და
მზეს –
მეწამულ პერანგიანს.

1968

პირუთვნელი

სამყაროს ოცნებით ათასჯერ
უვლიდა...
არ დარჩენია მიწადა...
ცის კიდე!
და მაინც ვერათქვა
სათქმელი,
უთქმელი.
რასაც თესავდა,
სულ იამს იმკიდა.
და ღმერთთან...
და კაცთან იყო
პირუთვნელი.

2019

სინი-შამაშ-ადადი

ათიათასწლეულის იქით
                    რომ აკიაფდა,
                  კვლავ ერთურთში გადადის
გილგამეშის[1] ტრიადა:
                    სინი[2] –
                        შამაშ[3] –
                            ადადი[4]!

1969

---

[1] გილგამეში – შუმერული პოეტური ქმნილებებისა და აქადური ეპოსის გმირი. ურუქის ლეგენდარული ჭაბუკი მეფე.
[2] სინი – მთვარის ღმერთის გავრცელებული სახელი.
[3] შამაში – აქადური მზის ღმერთი
[4] ადადი – ტაროსისა და ჭექა-ქუხილის შუმერული ღმერთი.

***

დღენიადაგ ლოცვებით,
ვითარცა საოცრებამ,
მიაღწია „ნირვანას*“, –
რწმენის კიბით ამაღლდა
და ცაში დაივანა.

2002

*“ნირვანა“ – უკვდავება

სული – “კა”

შენი სული ყველგანაა,
სულ აქა და
სულ იქა!
დღე და ღამეს ერთად იტევს,
და შენც ისე,
ვით ეგვიპტელს,
გწამს,
თან გახლავს სული – „კა“.

2013

კოლხა-კოლა-არტაანის

თვით უფალი მფარველობდა –
მათ მზეს ცაში ატანილს:
შურუპაქის[1],
შარუქინის[2],
ქარდუს[3],
ურის[4] და ნიპურის[5],
კოლხა[6]-კოლა[7] –
არტაანის[8].

1979

1, 2,3,4,5,6,7,8 – უძველესი კოლხური (ქართული) ქალაქები და სახელმწიფოები

***

ცას და მიწას შუა ჰკიდია
ღამის ფარდა
და ვაზი კი უფლის ხილად,
ცისკენ მიუყვება ხარდანს
(თუმც „თომებმა“ ბევრი ავი
შეთითხნეს).
მაინც ძვირფას მკვდართა
ხსოვნად,
მიწას დასცქერს –
ღვთისმოშიში ზეთისხე.

1996

***

ფიქრი მარადიული –
    გსურს სამყაროს მოჰფინო,
    სხვა რა უნდა ინატრო?!
იციან, რომ „მსოფლიოს
    სული“ –
    შენში ბინადრობს.

2013

მიწყალე მე

რადგან ისევ მიმელიან –
ჰერკულესის სვეტები,
მაცხოვარო, „მიწყალე მე“ –
ვითა იოანე მინჩხი,
ვით ანდრია კრეტელი.

2015

***

ვითარცა დავით ფსალმუნმეტყველის,
იყვავილებენ შენი „ბაღები“
და ქვეყნად რა გაქვს
დასამალავი:
„იქმენ ნათელი[1]“!
და „ამაღლება[2]“
ესაა შენი „დასტურლამალი[3]“.

1993

1,2 – ეგრისელის წიგნები
3 – „დასტურლამალი“ – ვახტანგ VI-ს წიგნი

***

შოორეულ ცის კიდეზე
ქრება...
და რომ ციმციმებს,
მარტოდმარტო,
ეული,
ის სულია პოეტის –
უხსოვარ დროს,
მიწიერ,
ტანჯვას გამოქცეული.

2004

ბარკლაის და ბაგრატიონს

ცაზე დარჩეს მზე ინახად,
    რათუნდ ჩქარა დრომ იდინოს,
    ცოდვა არვის აპატიოს,
ხსოვნა მაინც შეინახავს:
    ბონაპარტეს,
    (ბოროდინოს),
ბარკლაის და ბაგრატიონს*.

1983

*"ბოგ რატი ონ – ჯარის ღმერთია ის".
გავრილ დერჟავინი

***

გაჩენის დღიდან ღვთის მადლით,
        სიცოცხლე მუდამ სიკვდილზე,
        ათასჯერ მეტს იწონიდა.
და მზეც სხვა მნათზე მეტს იწვის –
მოისმის პეტრიწონიდან
        ხმა –
იოანე პეტრიწის.

1969

***

დავიწყების სიავეს
ბედად გადარჩენილი,
წუთისოფლის შარაზე –
საწყალობლად მობღავის:
(ხმა მთებს ელდად დაუვლის...)
ქოსი[1],
ნესტვი[2],
ბობღანი[3],
დავლი[4],
დოლი[5],
დაუვლი[6].

1971

1,2,3,4,5,6 –მუსიკალური საკრავები

***

მზე როცა ჩალუსკუმდება
და მთიებს დაათოვს
დაისი,
მწუხრით მოსილი ხმა ისმის:
– ჩვენ,
ისედაც ვართ ცოტანი,
„ადექ, ნათელი იდე და
განიბანე ცოდუანი“.

1993

ორი დავითი

დღენიადაგ დროსთან დავით,
        წარსულ დღეთა ხვდები
                ქარებს.
სდევ ქარიშხლებს და სამუმებს.
და აღმერთებ –
        ორ დიდ დავითს:
ერთს –
        ღვთისმოშიშს და მექნარეს[1],
        და მეორეს –
                „მეფსალმუნეს[2]“.

1984

1 – მექნარე – დავით გურამიშვილი
2 – მეფსალმუნე – დავით ფსალმუნმეტყველი

***

არყოფნა კი მექცეს ყოფნად
            და ეკალიც ამიყვავდეს,
  რადგან რკინა ოქროდ
                ვპირე.
კაცი ბილწი და ორპირი,
            ღმერთს სძაგს,
            და მე რად მიყვარდეს!

1998

***

ათასმა ეშმამ და ბელზებელმა,
ღამის წყვდიადში თავი
მიმალა,
რადგან მაცდურთა ვარ გამკიცხველი.
მეცამეტე ცის იქით –
მიმავალს,
მწამს:
„მე დამიცვენ გზანი
ფიცხელნი“.
(ფს. 6,4)

2007

მუცლით მეზღაპრე – მზაკვარი

ყოფნა,
არყოფნის მინდორზე,
ცოდვა-მადლს ერთად
ლესავენ,
ერთად დაირწა აკვანი:
მზის და სიცოცხლის მთესავის,
მუცლით მეზღაპრე –
მზაკვარის.

1972

***

შურის ძერამ წარგვტაცა,
            რაც რამ გვქონდა
                  კაცური...
და ახლა დავასკვენი,
რომ შენს „გულს თხრის“
                  მაცდური,
ისე, ვითა ვარსქენის.

1977

***

მზის მადლს გამოყოლილი,
მოფრენილი ზეციდან,
ისევ ცისკენ იურვი,
მიწიერი ცოდვისგან –
განგწმენდს ცა –
კოსმიური.

2013

იაპონია

(2011 წლის 15 მარტი)

გრგვინვა ოკეანეთა –
სივრცეს აპობს აისის
და ბობოქრობს ცუნამი.
იმედები ცურავენ –
ზღვაში აპოკალიფსის*.

2011

*წიგნი, რომელიც შეიცავს მისტიკურ წინასწარმეტყველებას ქვეყნის დასასრულზე

***

ღვთისმოშიში უნთებ სანთლებს,
მაინც ციდან ძილგამკრთალი,
ძირს ჩამოდის ხმა –
მეხური.
უფლის ხატს რომ მოჰკრა თვალი,
უნდა აჰყვე ლოცვის –
ოქროს საფეხურებს.

2010

***

საწუთროსთან ჭიდილით,
ჟამმა ვეღარ დაგღალა,
აწი ტანჯვა ცაში გელის,
რადგან შენი სახელი
წმინდაა და მაღალი
და არის საშინელი.

2013

ერეხეთი და ნინევი

ისტორიის ბნელ სარდაფში,
დავიწყების ჯირკზე მჯდარი –
ერეხეთი და
ნინევი,
თვალებს ახელს ისე საწყლად,
ვით ჟამისგან ნაღვინევი.

2001

***

– სული არის უკვდავი,
ვითარც ბრძანებს პლატონი,
არის ცის გამგებელი
და ცაშივე ბატონობს,
რასაც ეჭვობს
ჰეგელი.

1967

***

აქ ყოფნის დიდ მზეს და
                    იმედს,
ვინც რომ მოგვცა,
          იგი გვართმევს.
          მაინც მის წინ –
                    ძე – ადამის,
თავს ვერაფრით ვერ ვიმართლებთ,
რადგან მოსვლით,
                    კაცთა მოდგმას,
დამბადებლის ბევრი გვმართებს.

2012

დაიანები

კოლხეთს იყვნენ წვეულნი,
და იქიდან –
აქამდე,
ხუთიათასწლეულის –
მეტი დაიგვიანეს!
ახლა ვდგავარ ფაზისთან
და მთელი ხმით მოვუხმობ –
ნათესავ დაიანებს.

1972

***

მაცილს თავის წილს მიაგებ
და მზეთამზეს სანთლებს
უნთებ.
ფოთოლს კოცნი ნედლს და
ხმელსაც.
და აღმერთებ სიტყვას მართალს,
ვითარც „ახალ კაცს“
და „ძველსაც“
ვით ძველსა და ახალ აღთქმას.

2003

***

ისტორიას კარგად ახსოვს,
ფაზისის და პონტოს
სანაპიროზე,
თუნდ ერთი ხის დამრგველი –
იყო კოლხი...
სულ ერთია, –
ლაზი,
ჭანი,
მარგველი.

1992

***

კაცთა მოდგმის გაჩენაზე,
მითიდან თუ
თქმულებიდან,
ისმის სულ სხვა მოტივი:
ალ-ღაზალის,
ალ-აშარის,
პლატონის და პლოტინეს.

1962

***

კოლხეთის ცის ლაჟვარდში
პირველად რომ ინათა,
თითქოს ღმერთი ოდი ვარ.
და, ვით ეგზიუპერი
(მოდგმა „ქართლოსიანთა“),
ბავშვობიდან კი არა,
კოლხეთიდან მოვდივართ.

1987

***

ვით უფალმა ეს სამყარო,
შენც ლექსებს ქმნი
„არაფრისგან“,
და ჟამთასვლა ასე მიდის...
თუმცა სიკვდილს
ბევრი ელის:
ხმა მოისმის ალბერტ დიდის,
ანსელმ კენტერბერიელის.

1984

სულიწმინდის ქნარები

სადღაც მარადიულში –
ისევ მიეჩქარებათ,
უფლის მადლით
შეფუთვნილთ
სულიწმინდის ქნარები –
დღე-ნიადაგ გიხმობენ:
„რომ თქვენ თავს
არ ეკუთვნით*“.

1977

*პავლე მოციქული, კორინთელთა /7,19; 8,364/

ისე, როგორც ბასილ დიდი

გრძნობ „მობერვას“ უცხო ქარის
და შენი გზა სხვაგან მიდის,
მისდევს ოქროსრქიან ირემს.
სულიწმინდის უკრავ ქნარებს,
ისე, როგორც ბასილ დიდი
და ნეტარი ეფრემ მცირე.

1974

***

შორეული წარსულიდან
ლეგენდები და
მითები,
ენგურივით ისევ მოქუხს
და მეც ისევ,
ვით ფურნეე*, ძველ ბერძნულში,
კვლავ ვკითხულობ ათასობით
სიტყვას კოლხურს.

1999

*ჰოლანდიელმა მეცნიერმა ფურნეემ ძველ ბერძნულში 5 000-ზე მეტი კოლხური (მეგრული) სიტყვა აღმოაჩინა

***

დაღლილს მისნობით და
სილამაზით,
წარსულის მითში სძინავს
ელისეს.
აღარც მოსე ჩანს,
აღარც აბრამი.
და ციდან ვიღაც იქნევს
ელვის ხელს,
დიდი სინათლით სივრცეს აბრმავებს.

1988

***

ეს საწუთრო ტიალია,
აბრეშუმში ჯვალოს აქსოვს.
სხვებმა უნდა გაიაზრონ:
რაც შენ გიხეტიალია,
ალბათ მსგავსი აღარ ახსოვს:
არც ოდისევსს,
არც ენეასს,
არც იაზონს.

2014

***

ცის მკერდზე მთიებად ჰყვავიან,
წინაპრის სისხლის წვეთები...
და გზები საქართველოს ხსნის:
ყიჟინა
და ხმალთა კვეთება –
მარაბდის,
ქარჩოხის,
ქსნის.

1998

***

გახსნილია გზა და კარი,
„გურჯი“
თათარს მაინც ვეღარ
ითვისებს.
ოთხასი წლის მერე ისევ,
ყიზილბაშთა ძახილს ისმენს
გორის ციხე,
განჯისა და
ბირთვისის.

2002

***

ციურ „კოლხთა ფსალმუნებს“
ღამეს ვუთევ...
ვითა ღამეს ვუთევდი,
რადგან იგი არის ლოცვის ტაძარი.
და მე ვამბობ,
როგორც მარტინ ლუთერი,
„აქ ვდგავარ და სხვანაირად
არ ძალმიძს“.

2014

მარტყოფი, ქსანი, ბირთვისი

საქართველოს ცა და მიწა,
აბასმა ვერ მიითვისა...
მიტომ ვეღარ გახდა მშვიდი.
ჩალმიანი ოცდაშვიდი
ათასი წევს მარტყოფში და
თოთხმეტი კი ქსნის ციხესთან
და თორმეტი იქ –
ბირთვისთან...
ვერც კახეთი და ვერც ქართლი
მომხდურმა ვერ მიითვისა!

1976

***

დიდ კოლხოსის ნაშიერი,
ვით მზის ძე და ნათესავი,
მიხვალ მთვარის ხეივანით.
ელი ცათა სასუფეველს –
მათესავით,
რადგან ცოდვა „შეინანე“.

2005

***

ხელმწიფის ნავში მსხდომ მელექსეთა
ეფემერული ისმის ხარხარი,
და შენ წუხილით ამბობ
მეასედ:
ვით ადრე, ეხლაც ნაღდ პოეტებს
ცოცხლად მარხავენ,
მერე უწყობენ "სპირიტისტულ
ღამის სეანსებს".

1973

პალიმფსესტს ჰგავს სამყარო

წარღვნის მოლოდინში კვლავ,
ისევ უნდა აყაროს
ღმერთმა არსი ყოველი –
ცხოველ-ფრინველ მწერებით.
პალიმფსესტს ჰგავს
სამყარო,
ძველს შლის და მის ადგილზე –
ახალი იწერება.

1969

ისევ ლოდინი

ვითა წლები საუკუნეს,
ისე ცვივა მთებს
ლოდები...
შენი ზღვები აფრებს არ შლის!
პოეზიის ორპირ ქარში
დგახარ და...
მზეს ელოდები...

1966

დედა-შვილი

დღიდან –
მოსული ღამე –
დაღლილი,
მთვარის დიდ შუქზე ვეღარ იძინებს.
ცას ვარსკვლავებით
ეწვის ღაწვები.
მიწას კი მთები გულზე აწვება,
მაგრამ დედაა...
ჩუმად იტანს შვილთა სიმძიმეს.

2007

***

დავიწყების გზებზე მავალს –
სიტყვას მეგრულს,
სვანურს,
ლაზურს,
სიყვარულით ესალბუნე,
მერე ასო-
ასო სდიე...
ახლა ცა ბჭობს შენს
ფსალმუნებს
და შენს კოლხურ რაფსოდიებს*.

1972

* რაფსოდია (ბერძ.) – სიმღერები ლეგენდარულ გმირებზე და ღმერთებზე

***

მისასვლელი დავტოვოთ
ბილიკი –
ერთმანეთთან!
(მცირე ფეხდასადგამი).
სანამ მოდგმა ადამის,
წალეკავს მთელ პლანეტას!

2009

იონელები

უძნელესი გზებით ვლიდნენ...
გზა ვერ გაიიოლეს,
თუმცა ბევრი იბრძოლეს
და იომეს...
"ილიადას",
"ოდისეას" –
მზე ათბობდათ, –
ლაზ ქურუმებს – იონელთ.

1973

***

პონტოს სანაპიროზე
ღამით ვიღაც გაჰყივის:
მადლი! –
რადგან მოხვედი! –
მტერთა ბნელში მგლისელო!
აბა,
რა იქნებოდა,
აიეტის კოლხეთი,
უვაჟ-უეგრისელოდ!

2014

***

ცის ვეება ბალდახინზე –
ასვენია ღამის კუბო,
ირგვლივ მნათთა სამარეა
და გადარდებს შენ იგი.
ღვთისმოსავი ისევ უბნობ,
ვითარც ქრისტე სამარიას,
იგავით და ენიგმით.

1973

შუმერები და ქალდეველები

შ ო ო რ ს ,
სადღაც წარსულში,
ხმა ისმის შუმერთა,
პატარა სამყაროს თავზე ევლებიან...
ირგვლივ ისტორიის –
ფართე ველებია...
შუმერები –
იგივე ქალდეველებია.

1974

აიეტმა და ფარტაზიმ

გრაალის კოშკად მეგულვი
და უფრო მელამაზები –
ოქროცურვილი,
ფანტასტი.
მზე დაგანათლეს ლაზებმა –
აიეტმა და
ფარტაზიმ.

1969

ვაჟა

შორეთს მიმავალ ბილიკზე,
მოულოდნელად შებინდდა,
და ადრე შემოაღამდა.
მაინც მშობლიურ მთებიდან –
ვაჟა –
მწვერვალად ამაღლდა!

1966

***

ვით ელვა მეხთამტყორცნელი,
ზეცასა და მიწას შუა,
არ ხარ გამოკეტილი.
ქედზე გადგას გელაზი
და მგზავრი ხარ კეთილი –
დედამიწის ყველა გზის.

2011

სულის თვალი

გეჰენიის ცეცხლი წვავს,
ედემ ბაღში დარგული
ხილი,
ვინც ვერ იხილა.
ვისაც სული არა აქვს,
სულის თვალს ვერ
იხილავს!

2008

***

მღვრიე ათასწლეულები –
წუთებივით მოილიე,
რადგან, ჩემო,
კოლხურ ცაზე
დღე-ნიადაგ კითხულობდი –
ვარსკვლავების –
ჰომილიებს*.

1969

* ჰომილიები – სტენოგრაფიულად ჩაწერილი ძველი საეკლესიო მოძღვრება-ქადაგებანი

***

აიეტის და ფარტაზის
ნაშიერი რიტორია...
და ზოგ-ზოგი ჰყვება
ზღაპრებს და იგავებს!!!
მათ კოლხეთის მზითმოსილი
ისტორია,
ვერ იქნა და...
ვეღარ "გაისიგრძეგანეს!"

2000

როგორც დიადოხოსის

მადლი "კოლხურ ფსალმუნთა",
მონაბერი ფაზისით,
რაც ღმერთმა გიწყალობა,
საწმისია – ოქროსი,
როგორც დიადოხოსის –
ღვთაებრივი გალობა.

1972

***

მუზარადიან მნათთა მხედრობით,
სანამ შეეძლო ცა
გვიფარავდა,
მეხთა-ტეხისგან ვაით და ვიშით.
კვდება სიცოცხლე,
მაგრამ მარადის,
ცოცხლობს და გვაკრთობს
სიკვდილის შიში.

2014

***

მომავლიდან –
მომავალი,
საუკუნის წივის ქარი
და დღეებიც ასე გავა...
მეც,
ვით ვახტანგ* მივიჩქარი,
"სახელის ხის" –
დასარგავად.

1999

* ვახტანგ – იგულისხმება ვახტანგ VI (1675-1737)

აქ, არყოფნის სურნელი

მოდის და მოიჩქარის,
ჩვენი ნახვის მსურველი,
თითქოს დააგვიანდა
და იფრქვევა ნიადაგ,
აქ არყოფნის სურნელი.

2010

ოქსიმორონი

სავსეს სიცოცხლით და
სიყვარულით,
ათასრაიმეს გიგონებენ:
თითქოს და შენი პოეზია,
ტყე და გაუვალი კორომია.
„მჭერმეტყველური“ შენი სტრიქონები,
ვითომც და ოქსიმორონია[1].

1966

[1] ოქსიმორონი (ბერძ.) – მახვილგონივრული, სულელური.

***

ვარსკვლავთა სასაფლაოზე,
მთვარე შიშველი ნახევრად
იდგა მეხნაკრავ
ცაცხვივით,
და მერე მოულოდნელად
დააცემინა ცამ ცხვირი
და ელვა ამოახველა.

1954

სოფელში

ოცი წლის არა,
სამოცის მერე,
მოგონების კვლავ ირწევა ტოტი:
მწუხრია....
დედა მოუხმობს ღორებს:
– ეეინწ!...
ეეინწ!..
და მეჩვენება ტყით გამორბის
ღორების კოლტი.

2016

დღე – სიზიფე

მზე – ცეცხლის ქვაო! –
ამბობს თაგორი,
და დღემ – სიზიფემ,
ყოველთვის დილის ცაზე
უნდა ააგოროს!

1963

***

თავს ახლიან ნაპირს ზღვები:
ღამეები მწევრებივით
შენს ნაკვალევს რომ მისდევენ,
ერთად როგორ აუშვიო!
და დღეებიც შენს იმედებს,
ჩიტებივით რომ კენკავენ,
ხელი უნდა აუქშიო!

2018

ᲬᲣᲮᲘᲚᲘ

„ქრისტეს მხედარს კოლხეთიდან“,
        დღეს სამშობლო წართმეულს!!!
        ჩემს თბილისში ბორიალს,
მირჩევნია ჯანდაბა და...
        მასთან –
                ჯაქვაბორია...

1965

***

როცა კრწანისთან ჩავივილი,
ხმა მესმის ხმალთა კვეთების!
/აიშლებიან ფიქრები.../
ო, ალბათ არაგველები,
იქაც აღას სპას ებრძვიან,
სამარეშიც ხმლებს იქნევენ...

1954

მეაკვნე და მედაჩხირე

შორეული წარსულიდან,
ვითა მაცნე შენ მოხვედი!
/დიდაშ ნინა სი გარჩქილე[1]./
რადგან შენ ხარ –
ძველ კოლხეთის,
მეაკვნე და მედაჩხირე[2].

2018

[1] დედის ენა შენ გესმის (მეგრ.)
[2] მედაჩხირე (მეგრ.) – ცეცხლის დამთები.

პროსპერ მერიმე

დარი უდგას მზიური
მას,
ჩემსავით იურისტს –
მწერალ პროსპერ მერიმეს.
ფრანგულ სიტყვის მარეკსა და,
მეშველეს და
მეირმეს.

1968

ხილვა: სპარსეთის მეფე კიროს II

იუდას და ბენიამინის
ტყვედქმნილ გულში –
მზე ივანებს.
და მე ვხედავ მეფე კიროსს[1],
/აჯამსა და უცხვირპიროს/
ვით აბრუნებს ქანაანში
ყველა მღვდელს და ლევიანელს.

1963

[1] კიროს II – (559-530).

***

რა არის კაცის ცხოვრება:
ხან უძილობა...
ხან ძილი....
მაგრამ არავინ არ ფიქრობს,
ბოლოს,
რომ ელის მგზავრობა,
უსასრულო და ხანგრძლივი....

2017

ღრუბლები,
წვიმა,
ვარსკვლავები

წვიმა – მარიამის ცრემლებია...
ღრუბლები –
დარდის მთებია....
ქრისტე – ცაა და....
ვარსკვლავები – ჭრილობებია.

1959

1943

ომი არის გაგანია...
შრომით დაღლილ ძოკოს,
ძიკუს,
დასდით ოფლის ნაკადული.
მე,
კარდალის ფსკერზე მიკრულ
ნახვაწას ქერქს ვაკნატუნებ....

1954

ვედრება

ვითარცა ქრისტე მოველ უცოდველი,
ახლა სიყვარულით მივალ
დაისრული.
და როგორც ლეგენდა,
ანდა ვით ზღაპარი,
მრავალი ნატვრიდან –
ერთიც ამისრულე:
ვით დედაჩემი ძილში ჩუმად
გამააპარე!

2018

ბაღჩისარაის შადრევანი

ცხადში,
სიზმარში,
აღარ მასვენებს,
ვინც აღარ მიყვარს მოდის....
არა ის!
და ცას ცრემლების წვიმით
ასველებს,
ვით შადრევანი ბაღჩისარაის.

1956

კახეთში

სავსე სიცოცხლით და
სილამაზით,
შემოგვეფეთა ველი ალაზნის,
და სანამ ელვა ბნელს გაბაწრიდა,
კვნესის ხმა მესმა შორი
წარსულის!
მაგრამ უეცრად კახეთის ცის –
ლურჯ აბარწიდან,
მთვარე გადმოდგა,
ვით წინანდლის ტურფა ასული.

1963

ხორბის სასაფლაო

საიდანღაც ხმები ისმის,
ხსოვნას მოაქვს ოხვრა –
ელდად,
თუმც საფლავის არ ჩანს ბორცვი,
მაინც დედის ვისმენ
ლოცვას,
შუახორგის ოხვამედან.

2018

ოქოთომე

ვარსკვლავების ნაკვერჩხლებზე –
მთელი ღამე დღეებს გვიცხობს
მზე და მიჰგავს ოქროს თონეს
და ჩვენც ამის გამო გვიყვარს!
სიცოცხლეა – ოქოთომე[1],
სიკვდილი კი ხელს შეყოფს და
როცა უნდა გამოგვიყვანს.

2018

[1] ოქოთომე (მეგრ.) – საქათმე

***

ბალახს დაეძებ „განჭაბუკების“,
როგორც სიცოცხლის
წმინდა ელექსირს,
რადგანაც გიდუღს სისხლი
გიქორის.
და შენც ვითარცა „მესხი მელექსე“
შოთას შაირზე ამყნობ
სტრიქონებს.

1993

მიდიანელი, ლამბერტი, კასტელი

სამეგრელო შეიყვარეს
და... კოლხეთში
„დაბერდნენ.“
ჯონ ჯუზეპე[1] „დუდიჩე“ და
კასტელიც[2] და
ლამბერტიც[3].

1,2,3 – იტალიელი მისიონერები (XVII ს.)
ბ. ს.
1. ჯონ ჯუზეპე „დუდიჩე“ – (მეგრ.) თეთრთავა. მიდიანელის წიგნი: „წერილები საქართველოზე“.
2. არქანჯელო ლამბერტის წიგნი: „სამეგრელოს აღწერა.

* * *

მამა,

ძე და სული წმიდა,

ჯერ არა ჩანს ციდან სამად

და სამყაროს ადგას ბნელი.

ერთი მნათი ისე დაცქერს

მთვარის სამარხს,

ვით ქრისტეს ცხედარს მაგდალინელი.

1978

* * *

ერთბაშად არა,
ზოზინ-ზოზინით,
ცით ჩამოფრენილ ანგელოზივით,
დრო სიცოცხლეს და სიკვდილს გვასწავლის
და ხეს ცხოვრების ცვივა ნაყოფი.
აღმოსავლიდან –
ვიდრე დასავლით,
დღითი-დღე მოდის ჟამი არყოფნის.

2008

* * *

კავკასიონის მთით გოადმომდგარი –
ღრუბელი წვიმას ბღავის
ვერძოვით.
ელვა წყვდიადის მისდევს ნაკვალევს.
ზვირთთა დედები ერთურთს ებრძვიან
და აფრიდიტე* ზღვას
დაკანკალებს.

1971

* აფროდიტე "ბერძ.| ზევსისა და ოკეანიდ დიონეს ქალიშვილი.

დემონები და სატირები

ცეკვა-თამაშით,
სიცილ-ხარხარით,
ლეგენდიდან თუ წარსულიდან
მოვლენ ტალღები,
ვით დემონები და სატირები.
და დავიწყების კარს გააღებენ,
მერე მედეას ღალატს ჩუმად
შემომტირებენ.

1969

* * *

წითლდება ზეცა აღმოსავლეთის,
თენდება დილა საოცარი
და საკვირველი.
მზე არ იკარებს ნიავს მიჰქროლილს.
მამლებს სურთ:
ყივილის საყვირებით
დაამხონ ღამე ისე, როგორც
იერიქონი.

1989

* * *

შენ ხარ ჰელიოსის[1] ძე
ვინც „კოლხური ფსალმუნით“,
ამაღლება გაბედა.
და ზიხარ კვლავ გაბეთას[2],
ბიბლიური თმა-წვერით
და ამბობ, ვით პილატე:
„რაც დავწერე,
დავწერე!“

2007

[1] ჰელიოსი – მზის ღმერთი
[2] გაბეთა “ებრ. მსაჯულის ტახტი.

* * *

ნისლის საცერშიო ქარბორიას
ზღვა გაუწურავს,
არავითარი ბურდო და ლექი.
სხვა სილამაზის არ ვარ მნახველი.
გამთენიისას სისხლიან მზეს
ამოახველებს
ცა დღით და ჭლექით.

1967

* * *

მთიები,

ვით მტერი ურიცხვი, –

ფრიალებს...

ზანზარებს ცის ლურჯი მინდორი,
რომელსაც წარსულის ნისლები ებურვის.
ზე – შემოქმედება ომია დიდგორის –

საკუთარ თავთან მოგებული.

2008

ზოგმა მგოსანი უწოდა

“ვით ამერიკელს იანკი*.
ზოგმა მგოსანი უწოდა
ლექსის ქურდსა და
სოვდაგარს.
ზოგ-ზოგის პოეზია კი,
დაუმიზნებელ სროლას ჰგავს.

2008

---

* იანკი “ინგ. – ამერიკელების მეტსახელი, რომელიც მათ ევროპელებმა შეარქვეს.

* * *

აჰა, ჩემი სასახლე,
ლურჯი ცით და
მთვარიოს ჭით,
ვარსკვლავებით ურიცხვით,
ცხრა მზით და ცხრა კარიბჭით.
აქვე ბლომად იპოვით –
სარდონიქს[1] და სარდიონს[2],
ქრისოპრას[3] და ქრიზოლითს“,
ბივრილს[5], ტოპაზს[6], საფირონს[7]
და სიყვარულს ბევრზე-ბევრს,
თქვანი გოლუაფირო[8].

2008

1,2,3,4,5,6,7 – ძვირფასი და პატიოსანი ქვები
[8]თქვენ შემოგევლეთ “მეგრ.|

ფაზისის პირას

კოლხთა წარსულში,
აიასთან,
ფაზისის პირას,
რომ გაკრთა ელვა,
ელვა არა,
ორფეოსმა ჩამოკრა ლირას.

1958

სამი ფერია

სიკვდილი ვერ ეწევა,
უკვდავების ფერი აქვს –
სამ ღვთაებრივ ფერიას:
პოეზიას,
მუსიკას,
ფერწერას.

2001

მთა პოეტი

ძირს ჩამოდის სინათლედ –
ვარსკვლავების სიცილი,
ნავსაყუდლად ცა ჰპოვე.
ზღვა, კვლავ შემოგციცინებს,
ისე, როგორც მთა –
პოეტს

1997

* * *

ვითარცა დავითს ლამისყანასთან,
ჩაგვსაფრებია დღეები ჩვენ,
როგორც ლეკები.
რაქნას სიცოცხლემ‘
ვეღარ გვიფარავს.
და ჩვენ სიკვდილი
ვითა ცხვრის ფარას,
მოუსავლეთში მიგვერეკება.

2000

* * *

მტერთან სულ იმარჯვებდნენ...
და სახელი იმათი
ძალას მატებს –
უძლურს კი:
ჯავახ[1] – გოგარ[2] – კლარჯები[3],
ჯიქები[4] და ბურჯუკნი[5].

1969

1,2,3,4,5 – უძველესი კოლხური „ქართველური“ ტომები

* * *

წყალში დამხრჩვალთა სულებს
მოვუხმობ.
მარტი ქალივით ფერს და
ზნეს იცვლის.
ალბათ ჩემს გარდა არავინ იცის:
რას მოასწავებს დღეს
ზღვის დუმილი.

1973

---

* მედიუმი "ლათ. – შუათანა, სპირიტების ცრუ რწმენით, პირი, რომელიც გარდაცვლილთა „სულებთან" ამყარებს ურთიერთობას.

* * *

მეხით დამფრთხალი ჯოგი –
ღრუბლების,
ღამის უკუნში,
სადღაც მიდიან...
მთვარე ლოდივით ქვესკნელში გდია.
ქუხილს ხმალივით –
ელვა ჰკიდია,
თუ ამოწვდა გააპობს წყვდიადს.

1961

* * *

მოგწყინდა ყოფნა დედამიწაზე,
ცად ხეტიალი
შვებას განიჭებს,
სივრცეები ცივ ხელებს გართმევენ.
გადააბიჯე მთვარის –
კარიბჭეს
და მეცხრე ცისკენ მიემართები.

1965

* * *

შოორ წარსულის ნისლში
            რომ ჩანს,
მთვარე არა, ბაბილონის გოდოლია,
ვარსკვლავები – ხეებია არყების.
        კაცის ყოფნა –
            შემოდგომის ფოთოლია;
ჩამოივლის ქარი და მას გაყვება.

1983

გამოცხადება

„მეფე ფარნავაზს მზის სახით
გამოეცხადა ღმერთი“.
„ქართლის ცხოვრება“.

უღმერთობას ჩივიან,
ამიტომაც ვცხარდები!
და ბევრიც რომ მედაონ!
მწამს ღვთის გამოცხადების,
ვით ბიბლიურ
გედეონს.

1962

* * *

ეს ქათქათა ღრუბლები –
შემოსილი სინათლით,
თითქოს უფლის წვერია.
და ვით ბერებს ათონის,
პეტრიწის და სინას მთის,
„კოლხური ფსალმუნები“,
სულ ღამით გიწერია.

2006

მოვა დიდება

არსთაგამრიგეს მადლი შეწირე
  და ანგელოზებს უთხარ
                „ოსანა“.
რადგან თენდება და არ ბინდდება.
შენ ნუ იჩქარი,
          გვირგვინოსანი,
თავისი ფეხით მოვა დიდება.

2005

ჩე გოლა

რომ წუთისოფლის შარაზე,
            რამზეს მეორის ეტლივით,
            ათასწლეულებს ეგორა.
კოლხურ ცას –
            „გრაალს შესტირის,
            მისი მშობელი „ჩე გოლა“.*

1964

* ჩე გოლა (მეგრ.) – თეთრი მთა.

ლევან II დადიანი

„ხელმწიფეთა ხელმწიფე დადიანი
ლეონ, ყოვლისა საქართველოს პატრონი“.
ცაიშური გულენი.

ვით ლამბრეტი და კასტელი,
ბევრი სხვაც ხოტბას
ასხამენ
და დიდ ცოტნესაც ადრიან –
„ხელმწიფეს ივერიისას“
ლევან მეორე დადიანს.

1996

ისევ კოლხეთის მისტერია

ათასწლეულების მერეც,
სიტყვა აღარ იცვლის იერს,
ასე სჯერა ჰანს გზენგერს და
დიოდორე სიცილიელს:
რომ პირველად კოლხეთს იშვა
მისტერია,
ცას რომ იტევს
და არა რომს და ეგვიპტეს.

1978

* * *

იქ დავიდებ საცხოვრისს,
ჩანგითა და კითარით,
სადაც საუკუნენი
მიჰქროლავენ წამებად.
სანთელს ვუნთებ სამებას,
ვითარც ერთს.

* * *

წარსულ ჟამთა მზის სარკეში,
ედემიდან განდევნილი,
თმაგაშლილი მოჩანს ევა...
მე, ვით ადამის ძე – სეთი,
ანდა სამოთხეში შევალ,
ან მომელის ჯოჯოხეთი.

2001

არყოფნის გიხდება მოცდა

ყოფნისთვის კი არა,
ეხლა,
არყოფნის გიხდება მოცდა.
მადლმფენელს, სულისთვის ამოს,
მეცხრე ცის მინდორზე ლოცავ,
კირკესი კი არა,
სხვა მოლს!

1989

* * *

იდუმალებით სავსეა ეგვიპტე,
მაგრამ კოლხეთი
სხვა რამეა,
სამყარო რომ უდგას თვალებში.
შენი პოეზია –
სავანეა,
„ფილოსოფიური ქვით“ ნალესი.

1970

სამება

იქ სადაც სინათლე მეუფობს
და აღარასოდეს ღამდება,
გზას რომ სიშორის
        აუდის ალმური,
ხატება იქ ილანდება:
გრაალის, საწმისის,
        კოლხური ფსალმუნის.

1993

* * *

ქარის ხოპებით რომ მიაპობს
ცის ოკეანეს
მთვარე –
ჩემი პაპის – პაპაა.
ელვით დაჭრილი და დაკრუნჩხული,
წამოიმართა ზღვა,
ვით ურჩხული
და დაეღირა მშობლიურ ცას
ჩასაყლაპავად.

1981

* * *

იელვებს და...
ვარსკვლავებით,
ჩაჭედილი ზეცის კარი,
გაიღება უცებ.
სძინავს ღამეს, მაგრამ მთვარე,
კვლავ გულივით უცემს.

1964

კ ო რ ი ბ ა ნ ტ ე ბ ი

ყოველ შაბათს,
ყოველ კვირას,
მუხლმოყრილი პონტოს პირას,
ზის მოხუცი ოლიფანტე
და წარსულში აყურადებს:
თარხონსა[1] და
კორიბანტებს[2].

1962

---

[1] თარხონი – ქუხილის ღვთაება ძველ კოლხურ პანთეონში.
[2] კორიბანტები – მფარველი ანგელოზები.

ედგარ პოს ყორნის ჩრდილი

ამ ცხოვრების რიკ-ტაფელა,
მიგაჩნია გედი მღერად,
და ედგარ პოს ყორნის
ჩრდილი –
არყოფნაში ფრთა-გაჩრილი
დაგდევს,
როგორც ბედისწერა.

1968

მოვა დიდება

არსთაგამრიგეს მადლი შეწირე
და ანგელოზებს უთხარ
„ოსანა“.
რადგან თენდება და არ ბინდდება.
შენ ნუ იჩქარი,
გვირგვინოსანი,
თავისი ფეხით მოვა დიდება.

2005

ბრუნოსა და დემოკრიტეს

ამ მზესა და სხვა მზეს იქით
მზეები და ვარსკვლავები
არასოდეს დაილევა...
(უსამანოზე სამყაროს
ყველას იტევს).
ასე სწამდა კოპერნიკს და
გალილეის,
ბრუნოსა და დემოკრიტეს.

1980

* * *

უფლის ხელებით ნაგებს,
                    რომ შეაფაროთ თავი:
                    პარიზს,
                              რომსა თუ ვერსალს,
მაინც ძვირფასო,
                    სიკვდილს,
          ვერო გაექცევით ვერსად.

1974

* * *

მზესავით დიდი და ჩაუმქრალი,
გულში არყოფნის უნთია
ცეცხლი.
გარეთ კი დამის წყვდიადი აკრავს –
პატარა ბუდეს –
ღურჭულა მერცხლის,
რომელიც ვეღარ დაუბრუნდა –
მშობლიურ სახლ-კარს.

1963

* * *

ათას ჭირ-ვარამ გადანაყარი
მოვა და თავზე ხელის აღებით,
როს ქარიშხალი სივრცეს
შებინდავს,
მაშინ ამოვლენ ზღვიდან ტალღები,
როგორც დღეები,
შავითმოსილ ღამეებიდან.

1986

გ უ ლ წ ი თ ე ლ ე ბ ი

არსაიდან მოსულები –
    დასტრიალებთ სათეს-სახნავს
    და დაკოდილ სულს მიმთელებთ,
როცა მოჭიკჭიკეს განახავთ –
        ჩემს საყვარელ –
            გულწითელებს.

1967

* * *

მზით გათანგულებს თეთრი დღეები
ტანზე გვაშრება
ვითარცა ოფლი.
გვინდა,
არ გვინდა, მოვა დაისი.
იქნებ გაუსხლტეთ ხელიდან
ყოფნას,
არყოფნისგან კი თავს ვერ დავიხსნით.

2005

* * *

(ვარიანტი)

როს გაიგებს მამლის ყივილს,
ჟამს ცისკრისას,
გამთენია.
ღამეს სურს რომ გაიხიზნოს.
ვარსკვლავებსაც
ჩათვლემიათ,
ერთადერთი მთვარე ფხიზლობს.

1962

* * *

გადმოიარეს მთები და,
ზღვის ლურჯი იალაღები,
მათი ხმა ელვად უვლის ცას!
ველური ტომი –
ტალღების,
ასე, რამ გააგულისა?!

1997

* * *

ფიქრში ვხედავ:
ყავრით გადახურულ ოდას
და მის ლამაზ აბარწაში
კველაზე ზის ციცქნა ბიჭი
და ეზოს წინ –
დამბის გასწვრივ,
მიმოფანტულს უსმენს ჭრიჭინს.

1980

* * *

ელვის თოკებით ერთად შეკრული,
ქარიშხლებს მიაქვთ
ღრუბლების ნამი.
და შორით რომ ჩანს ქვესკნელში ღამის,
მთვარე კი არა,
ალბათ გახლავთ ნავი –
ქარონის,
მას გარდაცვლილი ვარსკვლავთა სული,
შორს მიჰყავს სადღაც,
უსახლკარონი.

1962

* * *

რომ ცბიერია წუთისოფელი,
ჩვენ კარგად ვიცით,
არ ვართ ბრიყვები,
მაგრამ ჯობია ახლოდან ნახოთ,
რადგან სიცოცხლე
ჩუმად მიჰყვება –
მღვრიე დღეების
ნამჯას და ნახორს.

2003

* * *

მზეო და მთვარევ!
და ვარსკვლავებო!
უსასრულობად გაშლილო ცაო,
ზოგჯერ ტიალო!
თუკი გადავცდი აქ არყოფნის
ქარსა და ქაოსს,
ცივ სივრცეებში მარად უნდა
ვიხეტიალო...

2001

* * *

ერთი არა,
    ასიც იყოს!
    (თუნდაც ავსულს ერთად ეშვას).
შენ დათრგუნავ ასპიტებს და
            ვასილსკოს,
დევს და მაცილს, ლომს და ვეშაპს.

2000

ნოჯიხევის საყდარი

აქ წამიერ ზმანებებში,
    უცებ დგება ბორჯი მსხვრევის,
    არც მაცი ჩანს
        და არც ეკა.
და საყდარი ნოჯიხევის –
        მწარე წარსულს ჩამორეკავს.

1983

ქარიშხალი ღამით

გამოდიოდა ზეციდან შუქი,
აბა, რა არის აქ საკვირველი,
რომელსაც ახლა ყასიდად
ვარკვევ:
რომ, ვით დამფრთხალი ღამის
ფრინველი,
გზააბნეული ქარიშხალი
მოაწყდა სარკმელს.

1972

ქრისტეს ბავშვობა

ჩემი მშობელი –
            პონტო ევქსინის,
            ხელს რომ აღმართავს
ცისკენ ხშირ-ხშირად,
ახსოვს მას ჟამი უძვირფასესი:
    (ქალწულისაგან ძე – ღვთისნაშობი)
როცა ჰყვაოდა ქრისტეს ბავშვობა
            სანაპიროზე
                ლურჯი ფაზისის.

1964

* * *

მარადიულ იმ სოფლიდან,
წამისმსწრობელ –
ამა სოფლად,
წინაპართა ნათელ ხსოვნად –
მოდის წვიმა.
და მე ვფიქრობ: დავიწყების ბინდში
ყოფნა,
ნუთუ მათ არ მოეწყინათ?!

1992

* * *

კოლხური ცისქვეშ დამენათევი
ზღვა სიჩუმესთან
შეურიგალი,
როს ნისლის პერანგს ტანზე იხევდა,
უცებ მოვარდა შავი გრიგალი
და ჭუჭყიანი ტალღების მთა
ბნელში მიხვეტა.

2001

* * *

ვაღვენთებდი ცრემლთა სანთლებს,
და აწ იქნებ ვეღარ მნახო,
შენს თვალებში –
ღვთის მოსავად.
რომ მიყვარხარ,
მით ვარ ახლო,
თუ იმიტომ რომ შორსა ვარ.

1989

* * *

გაიელვებს წამს წარსული
და ნავიდან საჭეს ვისვრი,
მიფუჭდება კაცს გუნება –
როცა ვხედავ: ვითარც ქალწულს
საჭურისი,
ზღვა ნაპირს ებღლარძუნება.

1978

* * *

მამა ღმერთი,
როგორც იობს,
ბედისწერა ბევრჯერ
გცდიდა,
დრომ ვერ დაჰკრა ბინდი იერს –
კაცს,
ფიფქივით მოსულს ციდან,
ცრემლზე სუფთას,
სინდისიერს.

2004

აპრილის მზე

ხის ტოტებზე დამჯდარა, და
კვირტებიდან ჩეკავს
ფოთლებს
ასე მოჩანს დღე – აპრილის.
ტყისპირ ღელე
როკაპივით
ცოფებს ყრის და მიქოთქოთებს.

1978

* * *

როს გაწყვეტენ ელვის აღვირს,
      და ღრუბლები
                  სათარეშოდ –
ცის მინდორზე აიშვებენ,
მაშინ ყინვა თოვლს დაუკრავს
      თეთრი მთების კლავიშებზე.

1962

არიმანს და მეფისტოფელს

დღე და ღამე, ვით მწევრები,
ცას და მიწას –
ყეფით ყოფენ,
ჟამი ყველას უცვლის ფერს:
არიმანს და
მეფისტოფელს,
ბელზებელს და ლუციფერს.

1971

რჯულძაღლს, რჯული მოგცა მოსემ

რადგან მოხველ,
ტანზე იცვამ,
ჭეშმარიტების სამოსელს
და უფლის გზას ჩუმად მისდევ.
რჯულ ძაღლს,
რჯული მოგცა მოსემ,
და მადლი კი თვითონ ქრისტემ.

1978

სუმერ – სუბარ – სასპერი

აღარ დარჩა ცის კიდე
    და აღარცა ზღვის ფსკერი,
    ყველგან სიკვდილს იმკიდნენ...
მაინც იყვნენ პირველნი:
        სუმერ[1] – სუბარ[2] –
            სასპერი.[3]

1969

[1] პირველი ქართველი ტომები.

ორი მოციქული

ცოდვით სავსე ცისქვეშეთში
ღამის წყვდიადს მიაპობს,
რწმენა ორი მოციქულის
და...
მზეს უნთებს ზენაარსი,
პავლესა და იაკობს.

1961

ტიციანის - „მონანიე მარიამ მაგდალინელი“-ს სურათთან

სატანის ხელით ნაგები –
ირყევა ცოდვის კედლები,
ვით ქარში ტოტი იელის.
და ისმის ჩუმი ვედრება
მარიამ მაგდალინელის.

1974

* * *

შორეთს მიმავალ შენს გემს –
            კოლხური და
            რომაული
მითების ანძა შვენის
და თეთრი აფრა ლაზის.
            დიდ ქართულ პოეზიას,
            ქართულ მზესავით, შენი –
            ოქროს ბეჭედი აზის.

2005

* * *

მამლის ყივილზე აღსავლით
ოვალაცეცხლებულ
ვარსკვლავთა
წამს შეწყდა აყალ-
მაყალი.
და მოეფინა სამყაროს
უქრობი ცეცხლი
„მაყვალის“.

1969

იოანე პეტრიწი

მეტ სინათლეს გამოსცემს,
პატრუქი, რაც
მეტს იწვის.
შენ მზე მეტი გებადა.
ხმა მოისმის პეტრიწის:
– ლოცვით ცისკენ მიიწევს
„კიბე სათნოებათა.“

1974

* * *

მზის და მთვარის შეხვედრა
ზეცის გამოქვაბულში
მიაგავს ავთანდილის
შეყრას კვლავ ტარიელთან.
ჩვენ სულს ნათლით
შემოსილს,
სადღაც დასალიერთან
ელოდება ეოსი.**

2001

** ეოსი (ბერძ.) – განთიადის ღმერთქალი.

სარეცელზე პროკრუსტეს

ზოგ-ზოგები შორეულ
        იდუმალ გზებს
        დააწვნენ
და იმქვეყნად მოკურცხლეს.
        შენ კი ლექსებს ვერ აწვენ,
        სარეცელზე –
        პროკრუსტეს.

1960

* * *

ცა,
ნაშიერს დედამიწის,
ცისარტყელის ხელებს გიწვდის,
ძლიერსა და შვიდ ადლიანს,
რადგანაც „შენს ფსალმუნებში“,
მირონი და
ღვთის მადლია.

2007

მზე, ფარი და მახვილი

ისე, ვითა დავითის,
ჩემს „კოლხურ ფსალმუნებში“
თვალებს ჩუმად ახელენ –
ელვის ქვაზე ნალესი:
მზე,
ფარი და მახვილი
და მირონი თალესის.

1990

* * *

ელვამ ცა გადაპარსა,
მთვარე მოჩანს ფერდობად.
შენ თაყვანსსცემ ანთებულ
ჩაუქრობელ ლამპარს
და
ყოვლადწმიდა დედოფალს.

1978

* * *

სიხარულის გზებით მავალს,
ღამე მაინც დაგეწია.
და იმაში ბრალი გიძევს,
რომ ერთხელაც
            არ გეწვია,
იდუმალი გზებით სიძე.

1966

მეჩანგე და შაირმთხზველი

სინათლის და მზის მარცვალი,
სიყვარულის ცაში თესე,
მოსავალს კი აწი ელი.
თუმცა ქართველს მუდამ ჰყავდა –
მგოსან – მუტრიბ
და მელექსე,
მეჩანგე და შაირმთხზველი.

1962

* * *

ვარსკვლავებით გაღვივებულ –
ჩემს ქართულ ცას
უმხურვალესს,
მზე კელაპტრად ხელთ რომ ეპყრა –
ჩემს დამწვარ გულს,
ცრემლში ნალესს,
ვითარც უფალს ვწირავ მსხვერპლად.

2004

ღამის ხე

მთვარის თეთრ ფიალაზე,
როს სამსალა დამისხეს,
საიდანღაც მოისმა:
– ოქროს ნაყოფს მოისხამს
შენეული ღამის ხე.

1996

* * *

ქუხილსა და მეხთატეხას
        თავს არასდროს არიდებდი
        და შენც ისე,
                როგორც იომ,
ფორებით და ქარიტებით, –
        ჟამთა დენას უნდა სდიო.

1977

* * *

საწყალ დედამიწაზე –
    შურს და მტრობას თესავენ
    მეფეცა და ვეზირიც.
მიწას არა,
    მზესავით,
    შენ, ცასა ხარ შეზრდილი.

1981

ინდოეთში

გარდასულ დღეთა უღმერთობა,
ბომბეის ქუჩებში
მზით იელვებს:
ნაფეხურები ჩანს ერესის.
და...
გულმჭვუნვარე ინდიელებს –
აცვიათ მწუხარება
უთეთრესი.

1983

სარჩევი

შესავალის მაგიერ 8
კოლხური ფსალმუნები
100 – ტომელული 25
კილიმანჯაროს მთები 26
ომარ ხაიამი 27
კაცობრიობა 28
მზე და მთვარე 29
გენათი 30
ასწლეულები 31
ისევ კოლხური ფსალმუნები 32
მიხო ხელაშვილი, სისონა დარჩია 33
ვედრება 34
მაცილი და ბელზებელი 35
გეა, პოსეიდონი, ზევსი, მერკური 36
ვერდიქტი 37
მამული 38
ოსანა 39
ჰეროდე 40
წმინდანების – კვირიკესა
და ივლიტას ეკლესია 41
სიშორე 42
სიმღერა 43

იაშვილის ფოტო პროფილით 44
რაინდები გრაალის 45
აპოლონ და დიონისე 46
ჟინ ანთარი 47
ვით პაოლოსა და ტიციანს 48
ხილვა – ქრისტეს
მხედარი კოლხეთიდან 49
კოლხეთის სამი მითიური მეფე 50
განმრიგე 51
ზოგ-ზოგებს 52
სამყარო ჩამოსაპყარდა 53
ცეცხლი 54
ხილვა-გარდუვალობა 55
გაზაფხული, ზამთარი 56
ჰორიზონტები 57
რისთვის 58
ზღვა და ხმელეთი 59
მზის და მთვარის პინები 60
ნემსები 61
რწმენა 62
შობის ბალახი 63
უსასრულობა, ვითა სასრული 64
კოლხური მისტერია 65
საგლოვი არის სიკვდილი 66

საუკუნენი არაბ-მონგოლთა 67
პურის ყანა 68
ფშავ-ხევსურეთში 69
როგორც ან მარე 70
უფლის სახე 71
ბაბილონის ტაძარი 72
ფშავში 73
ფსალმუნები 74
ზევსი 75
უკვე შინა ხართ... 76
ია-იები – სიცოცხლის საწყისი 77
დოუ ნანა 78
ალვები 79
მცირე ანდერძი 80
* * * შენი ხელებით არის ნაგები 81
ბაბილონის გოდოლი, ბაბილონის
შერევნა 82
ვით ფირდოუსმა 83
ოქროს მონეტა 84
ხილვა: მოყმის დედა 85
ფიფქი 86
ვით გილგამეში 87
მზე, მთვარე, ჟამი 88
პირუთვნელი 89

სინი-შამაშ-ადადი.....90
*** დღენიადაგ ლოცვებით.....91
სული – “კა”.....92
კოლხა-კოლა-არტაანის.....93
*** ცას და მიწას შუა ჰკიდია.....94
*** ფიქრი მარადიული.....95
მიწყალე მე.....96
*** ვითარცა დავით.....97
*** შორეულ ცის კიდეზე.....98
ბარკლაის და ბაგრატიონს.....99
*** გაჩენის დღიდან.....100
*** დავიწყების სიავეს.....101
*** მზე როცა ჩალუსკუმდება.....102
ორი დავითი.....103
*** არყოფნა კი მექცეს ყოფნად.....104
*** ათასმა ეშმამ და ბელზებელმა.....105
მუცლით მეზღაპრე – მზაკვარი.....106
*** შურის ძერამ წარგვტაცა.....107
*** მზის მადლს გამოყოლილი.....108
იაპონია.....109
*** ღვთისმოშიში უნთებ სანთლებს.....110
*** საწუთროსთან ჭიდილით.....111
ერეხეთი და ნინევი.....112
*** სული არის უკვდავი.....113

*** აქ ყოფნის დიდ მზეს და 114
დაიანები 115
*** მაცილს თავის წილს მიაგებ 116
*** ისტორიას კარგად ახსოვს 117
*** კაცთა მოდგმის გაჩენაზე 118
*** კოლხეთის ცის ლაჟვარდში 119
*** ვით უფალმა ეს სამყარო 120
სულიწმინდის ქნარები 121
ისე, როგორც ბასილ დიდი 122
*** შორეული წარსულიდან 123
*** დაღლილს მისნობით და 124
*** ეს საწუთრო ტიალია 125
*** ცის მკერდზე მთიებად ჰყვავიან 126
*** გახსნილია გზა და კარი 127
*** ციურ „კოლხთა ფსალმუნებს“ 128
მარტყოფი, ქსანი, ბირთვისი 129
*** დიდ კოლხოსის ნაშიერი 130
*** ხელმწიფის ნავში მსხდომ 131
პალიმფსესტს ჰგავს სამყარო 132
ისევ ლოდინი 133
დედა-შვილი 134
*** დავიწყების გზებზე მავალს 135
*** მისასვლელი დავტოვოთ 136
იონელები 137

*** პონტოს სანაპიროზე..... 138
*** ცის ვეება ბალდახინზე..... 139
შუმერები და ქალდეველები..... 140
აიეტმა და ფარტაზიმ..... 141
ვაჟა..... 142
*** ვით ელვა მეხთამტყორცნელი..... 143
სულის თვალი..... 144
*** მღვრიე ათასწლეულები..... 145
*** აიეტის და ფარტაზის..... 146
როგორც დიადოხოსის..... 147
*** მუზარადიან მნათთა..... 148
*** მომავლიდან..... 149
აქ, არყოფნის სურნელი..... 150
ოქსიმორონი..... 151
*** ვარსკვლავთა სასაფლაოზე..... 152
სოფელში..... 153
დღე – სიზიფე..... 154
*** თავს ახლიან ნაპირს ზღვები:..... 155
წუხილი..... 156
*** როცა კრწანისთან ჩავივილი..... 157
მეაკვნე და მედაჩხირე..... 158
პროსპერ მერიმე..... 159
ხილვა: სპარსეთის მეფე კიროს II..... 160
*** რა არის კაცის ცხოვრება:..... 161

ღრუბლები, წვიმა, ვარსკვლავები 162
1943 163
ვედრება 164
ბადჩისარაის შადრევანი 165
კახეთში 166
ხორგის სასაფლაო 167
ოქოთომე 168
*** ბალახს დაეძებ „განჭაბუკების“ 169
მიდიანელი, ლამბერტი, კასტელი 170
* * * მამა, ძე და სული წმიდა 171
* * * ერთბაშად არა 172
* * * კავკასიონის მთით 173
დემონები და სატირები 174
* * * წითლდება ზეცა 175
* * * შენ ხარ ჰელიოსის ძე 176
* * * ნისლის საცერშიო 177
* * * მთიები, ვით მტერი ურიცხვი 178
ზოგმა მგოსანი უწოდა 179
* * * აჰა, ჩემი სასახლე 180
ფაზისის პირას 181
სამი ფერია 182
მთა პოეტი 183
* * * ვითარცა დავითს 184
* * * მტერთან სულ იმარჯვებდნენ..... 185

* * * წყალში დამხრჩვალთა 186
* * * მეხით დამფრთხალი ჯოგი 187
* * * მოგწყინდა ყოფნა 188
* * * შოორ წარსულის ნისლში 189
გამოცხადება 190
* * * ეს ქათქათა ღრუბლები 191
მოვა დიდება 192
ჩე გოლა 193
ლევან II დადიანი 194
ისევ კოლხეთის მისტერია 195
* * * იქ დავიდებ საცხოვრისს 196
* * * წარსულ ჟამთა 197
არყოფნის გიხდება მოცდა 198
* * * იდუმალებით სავსეა ეგვიპტე 199
სამება 200
* * * ქარის ხოპებით რომ მიაპობს 201
* * * იელვებს და 202
კ ო რ ი ბ ა ნ ტ ე ბ ი 203
ედგარ პოს ყორნის ჩრდილი 204
მოვა დიდება 205
ბრუნოსა და დემოკრიტეს 206
* * * უფლის ხელებით ნაგებს 207
* * * მზესავით დიდი 208
* * * ათას ჭირ-ვარამ გადანაყარი 209

გ უ ლ წ ი თ ე ლ ე ბ ი.....210
* * * მზით გათანგულებს.....211
* * * როს გაიგებს.....212
* * * გადმოიარეს მთები.....213
* * * ფიქრში ვხედავ.....214
* * * ელვის თოკებით.....215
* * * რომ ცბიერია წუთისოფელი.....216
* * * მზეო და მთვარევ.....217
* * * ერთი არა.....218
ნოჯიხევის საყდარი.....219
ქარიშხალი ღამით.....220
ქრისტეს ბავშვობა.....221
* * * მარადიულ იმ სოფლიდან.....222
* * * კოლხური ცისქვეშ ღამენათევი.223
* * * ვაღვენთებდი ცრემლთა.....224
* * * გაიელვებს წამს წარსული.....225
* * * მამა ღმერთი.....226
აპრილის მზე.....227
* * * როს გაწყვეტენ.....228
არიმანს და მეფისტოფელს.....229
რჯულძაღლს, რჯული მოგცა მოსემ..230
სუმერ – სუბარ – სასპერი.....231
ორი მოციქული.....232

ტიციანის - „მონანიე მარიამ
მაგდალინელი“-ს სურათთან.....233
* * * შორეთს მიმავალ შენს გემს.....234
* * * მამლის ყივილზე აღსავლით.....235
იოანე პეტრიწი.....236
* * * მზის და მთვარის შეხვედრა.....237
სარეცელზე პროკრუსტეს.....238
* * * ცა, ნაშიერს დედამიწის.....239
მზე, ფარი და მახვილი.....240
* * * ელვამ ცა გადაპარსა.....241
* * * სიხარულის გზებით მავალს.....242
მეჩანგე და შაირმთხზველი.....243
* * * ვარსკვლავებით გაღვივებულ.....244
ღამის ხე.....245
* * * ქუხილსა და მეხთატეხას.....246
* * * საწყალ დედამიწაზე.....247
ინდოეთში.....248

მილოცვა

„ქართული ენა-ლიტერატურის" 100-ნომრის
ავტორთა, ყოფილი რედაქტორების, ყოფილი
ქართული ენა-ლიტერატურის სასწავლებლების
ყოფილ მასწავლებლებს, ლექსიკოლოგიის სფეროს
ოთხი, ერუდიციით ერთ-ერთ ფასეულ ადამიანს
შენი, ბატონო ალექსანდრ „ინტელექტუალურ
ლიტერატურულ" ჟურნალ-ალმანახის 100-ე ნომრის
ხელოვანებისა ალბომ-ალმანახ „ალბერ
ალბერ" ალბერ-ალბერ ალბერ-ალბერ ალბერ
ალბერ ალბერ ალბერ-ალბერ ალბერ-

ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 87

VAZHA EGRISELI

"KOLKHURI PHSALMUNEBI"

ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 87

გამომცემლობის	
რედაქტორი	– ნუგზარ სართანია
მხატვარი	– სპარტაკ ცინცაძე
მხატვრული რედაქტორი	– ირაკლი უშვერიძე
ტექნიკური რედაქტორი	– ნანა დუმბაძე
კორექტორი	– მარი დოლბაია
კომპიუტერული	
უზრუნველყოფა	– ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – ვაჟა დოლბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com